გილოცავთ შობა-ახალ წელს!

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №1-2 (7079) 3 იანვარი 2023 წელი ● Facebook გაზეთი თერჯოლა

არ დაგავიწყდეთ შობის საოცარ ღამეს ფანჯარასთან სანთლის ანთება!

მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე უწმინდესო!



2022 წლის 4 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II დაბადების დღეა. ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელს 90 წელი უსრულდება.

ვფიქრობ, მართლაც, როგორ უცებ გაირბინეს წლებმა. როდესაც ვიხსენებ 1977 წლის 23 დეკემბერს, დღესაც გულში სითბო მეღვრება. დიდი მღელვარება შეიმჩნეოდა იმ დღეს, თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის XII ადგილობრივიმა კრებამ, საქართველოს ეკლესიის ახალ კათოლიკოს-პატრიარქად ერთხმად აირჩია, ახალგაზრდა, შრომისმოყვარე, კეთილი, გონებაგამჭრიახი, ქვეყანაზე და დედა ეკლესიაზე უზომოდ შეყვარებული მიტროპოლიტი ილია, რომელსაც ეწოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

როგორი ძალისხმევა და ნიჭია საჭირო, რომ მადლი რომელიც მიღებული გაქვს უნდა გაუნაწილო ახალბედა უფლის მაძიებელთ, ყველაზე დიდი სიფრთხილე და გონიერება აქ გჭირდება ხელმძღვანელს, რადგან შენ გაქვს უდიდესი პასუხისმგებლობა უფლის წინაშე, შენთან მოდიან და გეუბნებიან გვასწავლე გზა, როგორ მივიდეთ სწორად უფლამდეო და ამ დროს შენ, შენგან მიწოდებული სულიერი საგზალი, უნდა გასცე იმდენი რომ, შენზე მონდობილ ადამიანებს ეყოს, შენივე მითითებულ უფლის კარამდე მისასვლელად და ამ გზაზე ბევრი სულიერი შვილის გამოსაკვებად. აი ამის გაკეთებას სჭირდება უდიდესი რწმენა, სიბრძნე და გამოცდილება.

ეს იყო ყველაზე დასამახსოვრებელი დღე ჩემს ცხოვრებაში, ახალგაზრდა, პატრიარქი, უდიდესი პასუხისმგებლობის სადავეებს შეეჭიდა, მას ერთგულება და თანადგომა სჭირდებოდა, ამას თითოეული ჩვენგანი კარგად ვიაზრებდით. იგი ჩვეული სიბრძნით მიუდგა ყველა საკითხს, დაუღალავი შრომით შეუდგა საქართველოს ეკლესიების ფეხზე წამოყენებას, ნელ-ნელა დაიწყო ათეისტური ხელისუფლებისაგან გავერანებული და გაუკაცრიელებული ეკლესიების აღდგენა.

აი ეს არის სულიერი მწყემსობა, თუ მაგარი ბიჭი და ქართველი ხარ მიდი, ჩაიცვი ეს ქალამანი და განვლე ეს გზა ერთგულად, უფლის შიშსა და სიყვარულში, ამასთანავე იშრომე, იბრძოლე, ილოცე, იმოღვაწე და იმედად ეყავნ სხვას.

მძიმეა, ძალიან მძიმე... გამძლეობა და დიდხანს სიცოცხლე უწმინდესო, საიუბილეო თარიღს გილოცავ, 90 -თი, ეს მხოლოდ ციფრებია, ყველა განვლილ წელში უდიდესი მადლი და წყალობა არის დათესილი და კიდევ ბევრს დასთეს, კეთილისა და მადლის მთესველო, უფლის წყალობას და ჯანმრთელობას გისურვებ, ბევრს გავუძელით და კიდევ ბევრს გავუძლებთ, ძალა სიყვარულშია, სიყვარული თმენაში და პატივისცემაში, რომლის სწავლებაც ჩვენ უფლისგან გვერგო.

გვიყვარდეს ერთმანეთი!

გიორგი შალამბერიძე,
ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტი

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა ამინ!
„ჩვენთან არს ღმერთი“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს, სრულიად მართლმადიდებელ კეთილ მორწმუნეთა სამწყსოს, მთავრობასა და მხედრობას, ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის, თითოეული მართლმადიდებელი მორწმუნის სახელით გილოცავთ შობა-ახალ წელს.

მინდა მოგილოცოთ, დღე სასწაულისა, სიყვარულისა, ჩვენი ცოდვების მხსნელის შობისა და ახალი ცხოვრების დასაწყისისა. ყოველი დღე, წუთი და წამი საჩუქარია უფლისგან, მადლობა უფალს ამ დიდი წყალობისთვის, რომ კვლავ დაგვიდგა ბედნიერი და სანუკვარი დღე, მალე ჩამორეკს ბეთლემს ზეციური ზარები, რომელსაც მოჰყვება ანგელოზთა გუნდის საგალობელი: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. კვლავ გააბრწყინებს აღმოსავლეთის ცას, ქრისტეს შობის მაუწყებელი კაშკაშა ვარსკვლავი.

წარსულის კიდევ ერთი ფურცელი იხურება ჩვენი მიწიერი ცხოვრებისა, შობის ღამე არის ქრისტეს ნათესავების შეკრებისა, რათა დაგროვილი ცოდვები წარსულს ჩააბარონ, ერთმანეთს მიუტევონ და ახალი წელი ახალი სუფთა ფურცლიდან იესოს მიერ სწავლული სიყვარულით განაგრძონ. სახელი იესო, უფლის ანგელოზის სიტყვით, ხომ „მხსნელს“, „მაცხოვარს“ ნიშნავს და თუ ჩვენ, ყოველ დამდეგ წელს, ამ სწავლებებით ვიცხოვრებთ, უფლისგან ხსნას აუცილებლად მივიღებთ.

ხშირად გავიგონებთ სულიერი შვილებისგან, ადამიანებისგან კითხვას, როგორ უნდა იცხოვრო, რომ ქრისტეს ნათესავად ინოდებოდე?—ეს მარტივი როდია, ამის სრულყოფა წმინდა მამებსაც უჭირდათ, მაგრამ ჩვენ უნდა შევეცადოთ, დავიცვათ ის, რასაც ჩვენც შევძლებთ და ჩვენს გარშემომყოფთაც შევაძლებინებთ.

ჩემო სულიერნო შვილნო, ქრისტესმიერნო დანო და ძმანო, როგორც მოგეხსენებათ, ქრისტეში არის ორი ბუნება - ღვთაებრივი და ადამიანური, მან ყველაზე კარგად უწყისს, რისი შემძლენიც ვართ, მას ეს ყოველივე ჩვენს სატანჯველად არ მოუგონია, პირიქით ამით ჩვენში უნდა დაიმკვიდროს, „მშვიდობამ და ურთიერთშორის სათნოებამ“. სასწაული სწორედ აქედან იწყება, როდესაც ღმერთის ძემ მისი დაბადება ბეთლემის ერთ-ერთ უბრალო ბაგაში ისურვა. უბრალო მწყემსების გარემოცვაში, რომელთაც ზეციური სიხარული გადასდებიათ და ამ სიხარულით გამთბარან. იქ, სადაც ახლა ბეთლემის პატარა გამოქვაბულს შესტრფიან და შეხარიან. სასწაულია ის, რომ უახლოეს ნათესავად მიგვიღო თავისი განკაცებით და ამით დაგვანახა მისი უდიდესი თავმდაბლობა და მისი ჩვენდამი სიყვარული. ამიტომ, მასაც უნდა ნათესავებიც კეთილშობილნი ჰყავდეს, მაშინ, ვიფიქროთ, თუ როგორ კეთილშობილებას უნდა მოითხოვდეს ჩვენგან, ჩვენი ნათესაობა ღმერთის ძესთან. ქრისტესთან ნათესაობა უდიდეს კეთილშობილებასა და ცხოვრების კეთილზნეობას მოითხოვს. ამიტომ ქრისტიანები ამქვეყნად ისე უნდა ცხოვრობდნენ, თითქოს ხორციელქმნილი ანგელოზები იყვნენ,—ამიტომაცაა, რომ ქალწულობას ქრისტიანულ სამყაროში მეტად მაღალი მნიშვნელობა აქვს. ქრისტეს სამწყსო მოვალეობაა დაიცვას, სიწმინდე, უმანკოება და კეთილკრძალულება, გულის უბრალოება და სიწრფელე, თავმდაბლობა, მორჩილება, ურისხველობა, უბოროტობა, გულმოწყალება მოყვასისადმი, ასევე მოგვეთხოვება თავშეკავება და ზომიერება, უვნებლობა ქვეყნიური სიკეთეებისადმი, საზრდოსადმი, სასმლისადმი, შესამოსლისადმი. ნათელია, როგორ თვისებებს მოითხოვს ჩვენგან, ჩვენი ნათესაობა ღმერთის ძესთან, რომელიც ჩვენი გულისთვის ხორციელ-იქმნა და განკაცდა?

წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: **„ყველაზე განსაკვირველი, ყოველგვარ იმედზე აღმატებული ის არის, რომ ღმერთი განკაცდა, ადამიანი შეიქნა. ხოლო როცა ეს აღსრულდა, ყოველივე, რაც შემდგომში მოჰყვა ამას, გასაგებიცაა და ბუნებრივიც“.**

დაე, ჩემო შვილნო, გავუფრთხილდეთ ჩვენს ნათესაობას ქრისტესთან, მასზე, უფრო ღირებულად ნურაფერს ნუ მივიჩნევთ ამქვეყნად—ნურც წოდებებსა და ხარისხებს, ნურც წარჩინებულობას, ნურც სიმდიდრეს, საერთოდ, ნურაფერს ქვეყნიურს: რამეთუ ყველაფერი, რაც კი არის ამქვეყნად, წარმავალია, დროებითია, ხოლო რაც მთავარია, - ყოველივე მასში ამაოებაა. ვიზრუნოთ სიწმინდის მოსაპოვებლად, როგორც ეს უფალმა გვითხრა: „იყავით წმინდა, ვითარცა წმინდა მე ვარ, უფალი ღმერთი თქვენი!“

და ბოლოს, ნეტარი თეოდორი ამბობს: მას შემდეგ, რაც ესაიამ ქალწულისაგან სასწაულებრივი ჩასახვა და შობა იწინასწარმეტყველა, იგი შობილის სახელსაც მიუთითებს: „ყრმას იგი უწოდებს ემმანუილ. ეს სახელი - „ჩვენთან არს ღმერთი“ აღნიშნავს განკაცებულ ღმერთს, ვინც ადამიანური ბუნება მიიღო, მასთან შეერთებული ღვთაებით, და ვინც არის ღმერთის ხატი და მონის ხატი, ჭვრეტად ძეში“, „არს და იყოს“.

ბედნიერია ქართველი ერი, რომ ქრისტესშობის სიხარული პირველი საუკუნიდანვე ეუწყება მოციქულთაგან და ამ დროიდანვე გახდა იგი ღვთისმშობლის წილხვედრი, ამიტომ მნიშვნელოვანია, შევინარჩუნოთ წინაპრების თავგანწირვის ფასად დღემდე მოტანილი ჩვენი მეობა.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ, სრულიად საქართველოს ეწეოდეს ამ დღის ძალა და მადლი!

„ღვთისმეტყველების დოქტორი“
ტყიბულისა და თერჯოლის
მიტროპოლიტი
გიორგი შალამბერიძე

„თერჯოლის“ ეს საშობაო-საახალწლო ნომერი იბეჭდება ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტის, გიორგი შალამბერიძის ლოცვა-კურთხევით.

გაზეთის ამ ნომერთან ერთად მოითხოვეთ კალენდარი „თერჯოლა 2023“.
წინასაახალწლო და ახალი წლის პირველი დღეების თერჯოლურ ამბებზე ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში მოგითხრობთ.

ძვირფასო თერჯოლელებო!

გილოცავთ შობა-ახალწელს! 2023 წელი საქართველოს გაბრწყინებისა და გამთლიანების წელი ყოფილიყოს! ვისურვოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ბედნიერი სახეები და სიყვარულით სავსე გულები გვენახოს.

ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, 2022 წელი მეტად მძიმე და დატვირთული აღმოჩნდა. თუმცა ჩვენ, ერთობლივად მაინც შევძელით თითოეულ გამოწვევასა თუ დაბრკოლებას პირნათლად გავმკლავებოდით. არ შეგვიწყვეტია აღმშენებლობის პროცესი. ერთი წლის განმავლობაში უამრავი პროექტი განხორციელდა ჩვენი ქალაქის გალამაზებისა და თითოეული მოქალაქის ინტერესების დასაკმაყოფილებლად. სწორედ ამიტომ, 2023 წელი ჩვენი ერთიანობითა და მონდომებით იქნება თითოეული განსახორციელებელი გეგმისათვის ხორცშესხმის წელიწადი!

განსაკუთრებული სიყვარულით მინდა, დამდეგი შობა-ახალი წელი მივულოცო ჩვენს ხანდაზმულებს—ადამიანებს, რომელთაც არაერთი მკაცრი ქარტეხილი გაუვლიათ, მრავალი მღელვარე მოვლენის მომსწრენი ყოფილან, არაერთხელ აღმოჩენილან მღვრიე მორევშიც, მაგრამ ღირსება, ზეციური გვირგვინი ჩვენი მიწიერი ყოფისა, არათუ შეუბღალავთ, არამედ პატიოსნების მაგალითად დარჩენილან ბოლომდე.

ასევე, მინდა შობა-ახალი წელი მივულოცო საქართველოს მომავალს, ჩვენს ახალგაზრდობას და მათ ვუსურვო, ერთიან, ძლიერ სახელმწიფოში ცხოვრება მათსავე ოჯახებთან ერთად. გაერთიანებული საქართველო გენახოთ მალე და გეცხოვროთ მასში ამაყად, პატიოსნად და ღირსეულად. ზნეობა არასდროს დაგვიწყებოდეთ და თქვენი გონებით ეს ქვეყანა მხოლოდ განვითარებისკენ წაგეყვანოთ, მრავალჟამიერ...

მერწმუნეთ, არასოდეს მავიწყდება უფლის სიტყვები: „არა მოვედ რათა გიმსახუროთ, არამედ მსახურებად თქვენდა“.

მრავალს დაესწარით!

იმრავლეთ, იხარეთ, იბედნიერეთ!

უღრმესი პატივისცემით
ბეჟან წაქაძე,
საქართველოს პარლამენტის
მაჟორიტარი დებუტატი

გილოცავთ შობა-ახალი წლის შემობრძანებას!

ძვირფასო თერჯოლელებო, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით, გილოცავთ ახალ 2023 წელს! ეს წელი ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის მშვიდობის, კეთილდღეობის და ჯანმრთელობის მომტანი! ვიმედოვნებ, რომ ეს წელი კიდევ უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის. ყოველმხრივ ვეცდებით და ძალისხმევას არ დავიშურებთ იმისთვის, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი წარმატებული იყოს. მჯერა, ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით, ჩვენ შევძლებთ უკეთეს პირობებში ვიცხოვროთ!

ამ ერთი წლის მანძილზე, რაც შეიკრიბა მეხუთე მოწვევის საკრებულო, ჩვენ მრავალი ინფრასტრუქტურული, სოციალური, კულტურულ-სპორტული თუ სხვა პროექტის განხორციელებაში მივიღეთ მონაწილეობა, მათ შესრულებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატები, საკრებულოს კომისიები. განვიხილეთ და გადავწყვიტეთ ისეთი საკითხები, რომლებიც მაქსიმალურადაა მორგებული მუნიციპალიტეტის საჭიროებებზე.

საკრებულოს წევრები, ჩვენი მაჟორიტარები ინტენსიურ რეჟიმში ხვდებიან მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ვითვალისწინებთ მათ მოთხოვნებს, საჭიროებებს და ძალ-ღონეს არ ვიშურებთ პრობლემების გადასაწყვეტად. ასეთი შეხვედრები უფრო ეფექტურს ხდის ჩვენს საქმიანობას, რაც მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება.

სრულიად საქართველოს კიდევ ერთხელ ვულოცავ და ვუსურვებ ბედნიერ შობა-ახალ წელს!

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ჩემო თერჯოლელებო!

გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას. მშვიდობის, სიკეთის, სიყვარულისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს 2023 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის!

განვლილმა პერიოდმა გვაჩვენა, თუ როგორ ვგრძნობთ ერთმანეთისადმი ზრუნვას, პატივისცემას, სიყვარულს, თანადგომასა და მხარდაჭერას. სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე აღმოვჩნდით და გავერთიანდით ამ მოულოდნელი სირთულეების დასაძლევად.

თითოეული ჩვენგანის დიდი გულისტკივილია, ჩვენი მეგობრის, მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალება, რომელიც გამოირჩეოდა საქმის სიყვარულით, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალიზმით. მისი ინიციატივით მუნიციპალიტეტს ბევრი წარმატებული პროექტი დარჩება. ის დააკლდება თითოეულ ჩვენგანს, გუნდს, თერჯოლასა და რეგიონს.

მჯერა, რომ 2023 წელი სასიკეთო ცვლილებების, კიდევ უფრო მეტად საქმიანი და ახალი შესაძლებლობების მომტანი იქნება. წინ საინტერესო გამოწვევები გველის, რომელსაც ჩვენი ერთიანობით, დასახული მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვით, შრომითა და ერთმანეთისადმი სიყვარულით გავუმკლავდებით და ერთად გავაგრძელებთ ჩვენი ქალაქის წინსვლასა და განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტში 2022 წელს 115 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, ამათგან ზოგი გარდამავალია და 2023 წელს დასრულდება. ძირითადი მიმართულება საგზაო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, სპორტული მოედნების, ტრენაჟორებისა და სკვერების მოწყობა, სასმელი წყლის სისტემების, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადებისა და ეზოების რეაბილიტაციაა, რაც მუნიციპალიტეტს ახალ შესაძლებლობებს შემატებს. ამასთან, მინდა აღვნიშნო ის დიდი მხარდაჭერა, რომელსაც საქართველოს მთავრობის, ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ასევე იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულიდან ვგრძნობთ.

მინდა, თითოეულ თქვენგანს გულითადად მოგილოცოთ ეს დღესასწაული!

გასული 2022 წელი მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი თერჯოლისთვის, რომელმაც კიდევ უფრო დაგვამეგობრა და დაგვაახლოვა იმ საერთო მიზანთან, რასაც მუნიციპალიტეტის განვითარება ჰქვია. გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, წინსვლასა და გაძლიერებას !

მანუჩარ რობაქიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

გილოცავთ ახალ 2023 წელს!

მშვიდობის, კეთილდღეობის, წინსვლის და განვითარების წელი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანისთვის და სრულიად საქართველოსთვის!

აღსანიშნავია, რომ ყოველ წელს გვაქვს კარგი და ცუდი მოსაგონარი, დავიწყებ იმით, რომ ძალიან მიმძიმს წარსულში ვისაუბრო, ჩვენს მეგობარზე, თერჯოლის ღირსეულ მერზე, ლაშა გოგიაშვილზე, რომელიც საქმისადმი სიყვარულით, ერთგულებით, პროფესიონალიზმით, მაღალი პასუხისმგებლობით გამოირჩეოდა. მას ქალაქის წარმატებისთვის თავი არასოდეს დაუზოგავს. გასულ წელს ჩვენ ერთად, ერთობლივი ძალისხმევით დავეგეგმეთ და განვახორციელეთ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული, სოციალური, კულტურული და სპორტული პროექტები, რომლებიც მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმა. ჩვენ აუცილებლად ვიამაყებთ ერთად გაკეთებული კეთილი საქმეებით, დიდი წამოწყებებით და მიღწეული შედეგებით. შესაძლებლობის მაქსიმუმს გავაკეთებთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება უფრო მეტი ოჯახის სოციალური მდგომარეობა გავაუმჯობესოთ. აღსანიშნავია, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წელს 18 სოციალური პროგრამა ფუნქციონირებდა. საჭიროების მიხედვით, შემოსული განცხადებების საფუძველზე, ამ სოციალური პროგრამებით ისარგებლა 3748 მოქალაქემ, რისთვისაც გაიხარჯა 1 205 897 ლარი. სოციალური პროგრამების ბიუჯეტი 2022 წლის დასაწყისისათვის იყო 1 145 000 ლარი, რომელმაც რამდენჯერმე განიცადა ცვლილება და წლის ბოლოსთვის ეს თანხა 1 285 000 ლარს შეადგენდა.

კიდევ ერთხელ მინდა გულითადად მოგილოცოთ შობა-ახალი წელი. გისურვებთ ბედნიერებას, საინტერესო სიახლეებს, ახალ შესაძლებლობებს. 2023 წელი გამორჩეული ყოფილიყოს ჩვენი ქვეყნის და მუნიციპალიტეტისთვის!

მირზა ქოჩიაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

ვულოცავთ,ვულოცავთ!

საახალწლოდ თერჯოლის საპატიო მოქალაქეობა ნარგიზ ცქიფურიშვილს, პაატა მხეიძეს, ომარ ნიშნიანიძეს და დემირ დოლაკიძეს მიენიჭათ.

ნარგიზ ცქიფურიშვილი

პაატა მხეიძე

ომარ ნიშნიანიძე



დემირ დოლაკიძე

თერჯოლამ 2023 წელი ახალი ბიუჯეტით დაიწყო!

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2022 წლის 20 დეკემბერს დაამტკიცა.

2023 წლის ბიუჯეტი 3.0 მლნ. ლარით აღემატება 2022 წლის ბიუჯეტის თავდაპირველ გეგმიურ მაჩვენებელს, რაც წლის წარმატებით დასრულენის კარგი სასტარტო საფუძველია.

წინასაახალწლო მონიტორინგი

ახალი წლის წინა დღეებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ილია ბეგიაშვილი და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე იმყოფებოდნენ.

სტუმრები თერჯოლის მერის მოვალეობის შემსრულებელს მანუჩარ რობაქიძესა და საკრებულოს თავმჯდომარეს გიორგი ბარათაშვილს, შეხვდნენ. მათ სამუშაო ფორმატში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურული პროექტები ადგილზე დაათვალიერეს და ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და სიახლეებზე ისაუბრეს.

ილია ბეგიაშვილის თქმით, წელს, ქვეყნის მასშტაბით, დაახლოებით, 6 ათას პროექტზე მიმდინარეობდა სამუშაოები. ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტების წილ-

მა იმერეთის მხარეში 155 მილიონ ლარამდე შეადგინა, რაშიც შედის რეგიონული განვითარების ფონდი, მთის განვითარების ფონდი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები სკოლებში, სტიქიების ლიკვიდაცია, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი პრიორიტეტი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაა, ამ მიმართულებით სოფელ ზედა საზანოში 100-მდე აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღი აშენდა. შენობა აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, რაც აუცილებელია ბავშვთა უსაფრთხოებისთვის.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ბოლო წლების განმავლობაში 6 საბავშვო ბაღი აშენდა, ხოლო ამ ეტაპზე ქალაქ თერჯოლის მე-3 საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს.

ობიექტებს შორის იყო სოფელ ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის პროექტი, რომლის ფარგლებში, წყლის ცენტრალური რეზერვუარი, დამცლელი და მიმწოდებელი მაგისტრალები, საქლორატორო, სატუმბი სადგური და ინდივიდუალური მრიცხველები მოეწყობა. პროექტის დასრულების შემდეგ, სასმელი წყლით 630 ოჯახი ისარგებლებს.

სამუშაო შეხვედრას ახალთერჯოლა-სიქთარვის მაჟორიტარი დეპუტატი ჯემალ ისაკაძე, საკრებულოს წევრი ბიძინა ბუცხრიკიძე, ზედა საზანოსა და თუზის მაჟორიტარი დეპუტატი დავით გოგბერაშვილი, ასევე საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი ზვიად გვადიბაძე ესწრებოდნენ.

„განახლებული რეგიონები“...

ამ სახელმწიფო პროგრამით, რომელიც ქვეყანაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერაა ინიცირებული, თერჯოლის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა ან მიმდინარეობს. პროგრამის

ფარგლებში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე აქტიურ ფაზაშია რეკრეაციული სივრცის მოწყობის სამუშაოები და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია.

პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქ. თერჯოლაში ცენტრალურ უბანში რუსთაველისა და კოსტავას ქუჩაზე 7 შენობას და 2 პარკს.

ასევე აქტიურ ფაზაშია რუსთაველის №122-№104-№114 ნომერი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია. დასრულებულია რუსთაველის 105 და 107, ასევე კოსტავას ქუჩაზე ბინის ფასადების მოწყობა.

ახალი წლის წინა დღეებში ეს სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ბარათაშვილთან ერთად ადგილზე დაათვალიერა, კომპანიის წარმომადგენლისგან დეტალური ინფორმაცია მიიღო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

სამუშაო შეხვედრას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თამვჯდომარის მოადგილები, დავით გოგბერაშვილი და ჯემალ ისაკაძე, ასევე საკრებულოს წევრები ბიძინა ბუცხრიკიძე და ლაშა გურგენიძე ესწრებოდნენ.

ის, რაც 2022 წელმა მიითვალა...

გოდერძი თურქაძე: სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი.

გასული 2022 წელი გამორჩეულად მნიშვნელოვანი იყო თერჯოლის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით სხვადასხვა ფონდებიდან, უწყებებიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან სამშენებლო, სარეაბილიტაციო ან გარკვეული მოცულობის სამუშაოები შესრულდა 115 ობიექტზე, რომლის საერთო ჯამურმა ღირებულებამ 400 მლნ. ლარამდე შეადგინა.

გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ ცალკეული ამ ფონდებიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან შესრულებულ სამუშაოთა მოცულობასა და ჩამონათვალს.

რეგიონული განვითარების ფონდი

2022 წელს რგფ-დან თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო 5 667 049 ლარი, რომლის მეშვეობით დაფინანსდა 13 ინფრასტრუქტურული პროექტი, აქედან 11 საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის მეშვეობით სხვადასხვა

ადმინსტრაციულ ერთეულში მოეწყო 13,5 კმ საავტომობილო გზა, სოფ. ზედა საზანოში 100 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღი და სოფ. ახალთერჯოლაში მიმიდნარეობს სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები, რომლის პროექტიც გარდამავალია და დასრულდება 2023 წელს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი

2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაგარევში მოეწყო წყლის მიმწოდებელი სისტემა, რომლის მეშვეობით წყალს ღებულობს 80 კომლი, ასევე 8 სოფლის ცენტრში მოეწყო სპორტული ტრენაჟორები, ქ. თერჯოლაში სხვადასხვა ლოკაციაზე რეაბილიტირდა სანიაღვრე სისტემები და ვაჟა ფშაველას ქუჩაზე საავტომობილო გზის კიდეზე მოეწყო საყრდენი კედელი. ასევე, სოციალური პროგრამის ფარგლებში, 9 სოციალურად დაუცველ ოჯახისათვის აშენდა ტიპიური ერთსართულიანი სახლი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფ. ეწრის ამბულატორიის შენობის სახურავს და ბარდუბნის ცენტრში მოეწყო ახალგაზრდული სკვერი. 2022 წლის ივლისის თვეში მოსული უხვი ნალექის შედეგად დაზიანდა ადგილობრივი

დანიშნულების ქვიშა-ხრეშოვანი გზები, რომლის შეკეთებაც მოხდა ინერტული მასალით. ზემოაღნიშნული სამუშაოების საწარმოებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 1 303 483 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

თერჯოლის მუნიციპალიტეტს 2022 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 690000 ლარი, რომლის მეშვეობით სოფლებში ჩატარებულ მოსახლეობის საერთო კრებებზე დაიგეგმა 80 ინფრასტრუქტურული პროექტი. დღეის მდგომარეობით ყველა სამუშაო დასრულებულია. ძირითადი აქცენტი მოსახლეობის მიერ გაკეთებული იყო საუბნო გზების ბეტონის საფარის მოწყობაზე, სხვადასხვა სოფელში დაიგო დაახლოებით 630 გრძივი მეტრი არმირებული ბეტონის გზა. ასევე რამდენიმე სოფელში მოეწყო დაახლოებით 20 კმ გარე განათების ქსელი, მოწესრიგდა სანიაღვრე არხები, რამდენიმე საბავშვო ბაღში შეკეთდა შიდა და გარე ინტერიერი, შემოიღობა სასაფლაოები და ეწყობა სპორტული მოედნები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა წყაროებსა და სასმელი წყლის ჭებს.

საპილოტე რეგიონების განვითარების ინტეგრირებული პროგრამა

ამ პროგრამის ფარგლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4 564 254 ლარი, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს 3 ინფრასტრუქტურული პროექტი, კერძოდ:

1. ქ. თერჯოლაში შენდება 120 აღსაზრდელზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღი, რომელიც ასევე სრულად ადაპტირებული იქნება შშმ პირებზე. შენობაში გათვალისწინებულია შშმ პირების დღის ცენტრისათვის საჭირო ფართი, პროექტის ფარგლებში მოხდება ეზოს კეთილმოწყობა.

2. ქ. თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ მიმდინარეობს ღია ამფითეატრის, არსებული შენობების ფასადების და დასასვენებელი სკვერის მოწყობა.

3. სოფ. ძევრში საგვარჯილეს გამოქვაბულების მიმდებარედ ეწყობა ტურისტული ინფრასტრუქტურა, პროექტი ითვალისწინებს გადასახედი ბელვედერის, სასეირნო ბილიკების, პარკინგის, ტურისტულ საინფორმაციო ცენტრის შენობის, სველი წერტილებისა და ფანჩატურების მოწყობას.

სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია

თერჯოლის მუნიციპალიტეტს 2022 წლის ივლისის თვეში მოსული უხვი ნალექის შედეგად მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლეში გამოეყო 545 000 ლარი, რომლის მეშვეობით რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფ. ძევრში, მდ. ქვერუნას სანაპიროზე სტიქიის შედეგად დაზიანებულ საავტომობილო გზას, სადაც ლოდნარით მოეწყო ნაპირსამაგრი კედელი, ასევე გაიწმინდა მდინარის კალაპოტი. დღეის მდგომარეობით პირველადი სარეაბილიტაციო სამუშაოები ასევე დასრულებულია სოფ. გოგნის საავტომობილო გზაზე, რომელიც გავლადი გახდა.

2023 წელსაც ბევრი საინტერესო გეგმა გვაქვს, იმედია მათ წარმატებით შევასრულებთ.

გასულ წელს სოციალურ პროგრამებზე დაგეგმილზე საგრძნობლად მეტი თანხა დაიხარჯა

დიანა ფოცხვერაშვილი, მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში 2022 წელს მოქმედებდა 18 სოციალური პროგრამა, რომელთა ფუნქციონირებას უზრუნველყოფდა მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

საანგარიშო პერიოდში ამ სოციალური პროგრამებით ისარგებლა 3748 მოქალაქემ, რისთვისაც გაიხარჯა 1 205 897 ლარი. სოციალური პროგრამების ბიუჯეტი წლის დასაწყისისათვის იყო 1 145 000 ლარი, რომელმაც რამდენჯერმე განიცადა ცვლილება და წლის ბოლოსთვის შეადგენდა 1 285 000 ლარს.

ვიდრე პროგრამების შესრულების სურათს გაგაცნობდეთ უნდა აღვნიშნო, რომ შემოსული განცხადებების დიდი ნაწილი არის ერთჯერადი ფინანსური დახმარების თხოვნით, რომლის ბიუჯეტი წლის დასაწყისისთვის იყო 180 000 ლარი, პროგრამაში რამდენჯერმე შევიდა ცვლილება და გაიზარდა, საკრებულოს განკარგულებით პროგრამის ბიუჯეტი წლის ბოლოსთვის გახდა გახდა 202 450 ლარი, აღნიშნული პროგრამით სარგებლობის უფლება აქვთ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვადასხვა კატეგორიის ოჯახებს: იშვიათი და ონკოლოგიურ დაავადების მქონე პირთა ოჯახები, ობოლ ბავშვთა, სამ და მეტ შვილიანი სოციალურად დაუცველი ოჯახები, ვეტერანთა ოჯახები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლ პირებს, ქრონიკული დაავადების მქონე პირთა

ოჯახებს, დაუნის სინდრომით და აუტიზმით დაავადებულ ბენეფიციართა ოჯახებს…. ამ დროისათვის დახმარება გაეწია 1417 ოჯახს, რისთვისაც იქნა გახარჯული195 250 ლარი.

2022 წლის 1 იანვრიდან დღემდე თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის თანადაფინანსების ერთჯერადი პროგრამის ფარგლებში ხდება ოპერაციებისა და გამოკვლევების დაფინანსება. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლიდან მოქალაქეებს თავიანთი შემოსავლების გათვალისწინებით, მეორედაც შეუძლიათ ისარგებლონ აღნიშნული პროგრამით. პროგრამის ფარგლებში გაცემულია 277322 ლარის დაფინანსების წერილი 795 მოქალაქეზე. პროგრამის ბიუჯეტი წლის დასაწყისისთვის იყო 200 000 ლარი, პროგრამამ განიცადა რამდენჯერმე ცვლილება, წლის ბოლოსთვის პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 307000ლარი.

„დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებულ ბენეფიციართა დახმარების პროგრამის მიზანია“ მოსარგებლე ბენეფიციარების სამედიცინო დაწესებულებაში გადაადგილების და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მიმდინარე წელს ისარგებლა 37 ბენფიციარმა, თითოეულმა ბენეფიციარმა ყოველთვიურად მიიღო 200 ლარი. პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 85200 ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების პროგრამით დახმარება გაეწია ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ 178 ბენეფიციარს, თითოეულს 150 ლარი ერჯერადად, ბიუჯეტი 2022 წელში შეადგენდა 27 000 ლარს.

პირველი ჯგუფის უსინათლოთა დახმარების პროგრამიდან დახმარების თხოვნით მომგვმართა და დახმარება მიიღო 62 ბენეფიციარმა, რომლებსაც ყოველთვიურად ერიცხებოდათ 50 ლარი, 2022 წელს ამ პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 37200 ლარი.

უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა წლის დასაწყისისთვის 19800 ლარს. ამ პროგრამის ფარგლებში განცხადებით მოგვმართა და დახმარება გაეწია 10 ოჯახს, რისთვისაც გაიხარჯა 19250 ლარი.

საკვები პროდუქტების დახმარების თხოვნით შემოსულ განცხადებებს განიხილავს „მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელი შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის „რეკომენდაციის საფუძველზე დახმარება გაეწია 1025 მოქალაქეს, რისთვისაც გაიხარჯა 67775 ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა ბიუჯეტი—40 000 ლარი. პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია167 ოჯახს, რისთვისაც პროგრამის ბიუჯეტი მთლიანად გაიხარჯა.

უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა ითვალისწინებს ყოფილი უფასო სასადილოს ბენეფიციარების დახმარებას. დარჩენილია 2 ბენეფიციარი, რომლებსაც ყოველთვიურად ერიცხებათ 50 ლარი. პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 1400 ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სახლდაზიანებული მოქალაქეების წლის დახმარების პროგრამის ბიუჯეტია 410 000 ლარი. პროგრამის მიზანია დაეხმაროს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას, ამასთანავე პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან/და შეძენას, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო ექვემდებარება დემონტაჟს.

საცხოვრებელი სახლები, რომლებიც დაზიანების მაშტაბის გამო საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას ბიუჯეტი განსაზღვრულია 20 000 ლარით, ხოლო მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ბიუჯეტია 390 000 ლარი.

აღნიშნული სახით პროგრამა ფუნქციონირებს მესამე წელია, 2020 წელს აშენდა და ექსპლუატაციაში გადაეცა 3 სახლი, 2021 წელს 5 სახლი, ხოლო 2022 წელს აშენდა 9 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამის ბიუჯეტია 28300 ლარი. პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად დახმარებას იღებენ ფენილკეტონურიით დაავადებული მოქალაქეები, რომელთა დახმარება შეადგენს 300 ლარს და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვიანი ოჯახები, რომელთა დახმარება შეადგენს 100 ლარს. ამ დროისთვის პროგრამის ბიუჯეტი მთლიანად არის გახარჯული.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარების პროგრამის ბიუჯეტია 18700 ლარი. დახმარების მისაღებად მოგვმართა და დახმარება გაეწია 21 მარტოხელა მშობელს, რისთვისაც პროგრამის ბიუჯეტი მთლიანად გაიხარჯა.

ასევე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის პროგრამა“. ბიუჯეტი 4000 ლარი და „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა“—ბიუჯეტი 2300 ლარი. რაც შეეხება კანონმდებლობით გათვალისწინებულ სარიტუალო მომსახურეობის თანხას, რომელიც განხორციელებულია მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, დახმარება გაეწია ერთ გარდაცვლილ ომის ვეტერანის ოჯახს 250 ლარით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიამ შშმ ბავშვთა სასწავლო სარეაბილიტაციო ცენტრ „იმედის სხივსა“ და „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრს” 2022 წელში გადაურიცხა 10 000 ლარი, ხოლო ინვალიდთა ასოციაციას 550 ლარი.

ასევე აღსანიშნავია, რომ თერჯოლის მერიისა და სოციალური სამსახურის ორგანიზებით მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სოფელში ჩატარდა და კიდევ გრძელდება უფასო ოფთალმოლოგიური კვლევები.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტში დამკვიდრებულია კარგი პრაქტიკა სადღესასწაულო დღეებში ადგილებზე, ოჯახებში მოვინახულოთ ჩვენი ღირსეული მოქალაქეები, მივულოცოთ და გადავცეთ სასურსათო ნობათები. მარტო გასული წლის წინა დღეებში, საბარბარობოდ ჩვენს მიერ ასეთი ნობათები გადაეცა 100-მდე ოჯახს.

მინდა ხაზგასმით განვაცხადო, რომ მიმდინარე, 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სოციალური პროგრამებისათვის დაფინანსების გაზრდა.

იმედი გვაქვს, რომ წლის განმავლობაში ის კიდევ უფრო გაიზრდება.

შობა-ახალ წელს გილოცავთ!

მადლიერი ბენეფიციარები

მუნიციპალიტეტის მერიაში, მის შესაბამის სამსახურში, გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციაში ათეულობით წერილი შემოდის, რომლითაც პროგრამის ბენეფიციარები მადლიერებას უხდიან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, სოციალურ და სხვა სამსახურებს გაწეული თანადგომისა და დახმარებისათვის. გაგაცნობთ რამდენიმე მათგანს.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიითა და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა დახმარების პროგრამით“ ერთ ერთი მოსარგებლე პირის მადლიერი მშობლის წერილი სოციალურ სამსახურს:

„ძალიან დიდი მადლობა ყველას, ვინც დამეხმარა და ჩემი შვილის მდგომარეობა გულთან მიიტანა. დღეს ის მაგარი ბიჭი რომაა თქვენი დამსახურებაა, მერიაში რომ შევდივარ ყველა თვალებში გიყურებს რით დაგეხმარონ. გაფასებთ ძალიან, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რასაც აკეთებთ.

მადლობას გიხდით, გფარავდეთ ღვთისმშობელი და უამრავი წელი შეგეძლოთ ყველა იმ ადამიანისთვის დახმარება, ვისაც ძალიან სჭირდება“.

მადლიერი მშობელი

მაგდანა კუტალაძე—„გასულ წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით სოფელ ზედა სიმონეთში აგვიშენეს საცხოვრებელი სახლი, რითაც ჩემმა სამმა ობოლმა შვილმა აიხ-

დინეს ოცნება. ახლა ვცხოვრობთ უკეთეს პირობებში, აღარ გვაწვიმს და გათბობაც მაქვს. უდიდეს მადლობას ვუხდით ყველას—როგორც ადგილობრივ, ისე რაიონის ხელმძღვანელობას ვინც მონაწილეობა მიიღო ამ კეთილ საქმეში.

აქვე მინდა აღვნიშნო და დიდი მადლიერებით გავიხსენო მუნიციპალიტეტის მერი, აწგარდაცვლილი ლაშა გოგიაშვილი, რომლის უშუალო მხარდაჭერით აშენდა ჩვენი სახლი, ღმერთმა გაანათლოს მისი კეთილი სული“.

ქეთევან წიქორიძე—„მყავს სამი მცირეწლოვანი შვილი, ვცხოვრობდი საქონლის სადგომში. სოფლის ხელმძღვანელმა მამუკა გოგბერაშვილმა, აწგარდაცვლილმა მერმა ლაშა გოგიაშვილმა, ამჟამად მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ და სოცსამსახურის ხელმძღვანელმა დიანა ფოცხვერაშვილმა მოინახულეს ჩემი საცხოვრებელი პირობები, და შესაბამის კომისიასთან ერთადგადაწყვიტეს ჩვენთვის ახალი სახლი აეშენებინათ.

დღეს ჩვენ ახალ სახლში გადავდივართ, ვართ უზომოდ ბედნიერები და მადლიერები, მადლობას ვუხდით თერჯოლის მერიის ყველა სამსახურს, ვინც დაგვეხმარა.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი სოფლის მკვიდრს ავთანდილ ცხოვრებაძეს, რომელმაც 500 ლარი ჩაგვირიცხა ელექტროენერგიის შესაყვანად ახალ საცხოვრებელ სახლში“.

კოვიდპანდემიური რეგულაციების მიუხედავად...

გურამ თურქაძე—მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი.

სამსახურის მიერ გასულ წელს გაწეული საქმიანობის შეფასებას დავიწყებ განათლების სფეროთი, სადაც მერიის ჩართულობა განისაზღვრება ადგილობრივი განკარგულებების, სამსახურის ინიციატივებისა და ბავშვთა სპორტული ოლიმპიური კომიტეტის დებულებათა განხორციელებით.

უპირველესად აღვნიშნავ, რომ 2021-22 სასწავლო წელი განსაკუთრებული წარმატებით დაამთავრა საჯარო სკოლის 60 მოსწავლემ, გვყავს 49 ოქროს და 11 ვერცხლის მედალოსანი. თითოეულს საახალწლოდ მერიის მიერ გადაეცათ ფულადი ჯილდოები და სამახსოვრო საჩუქრები.

მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიურობა და ჩართულობა კოორდინაციაშია მერიის ამ სამსახურთან. მათი საქმიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით ხორციელდება... სკოლამდელი აღზრდის მეთოდოლოგიური დონე და გამართული ინფრასტრუქტურა ერთმანეთს ფეხს უნდა უწყობდეს და ასეც ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში პანდემიამ ყველაზე მტკივნეული დარტყმა მიაყენა კულტურის სფეროს, ჩვენს შემოქმედებით კოლექტივებს, პანდემიის გამო, სათანადო რეგულაციების დაცვით მუშაობა არ შეუჩერებიათ. ინტენსიურად მიმდინარეობდა საფესტივალო (იმერეთის თეატრალური ფესტივალი) სპექტაკლების მზადება, სადაც თერჯოლის თეატრალურმა დასმა წარმატებით მიღო მონაწილეობა. რომ არა ინტენსიური მუშაობა, ჩვენი ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები ასეთ მზადყოფნას და მაღალ დონეს „არტგენისა“ და „შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალებზე ვერ აჩვენებდნენ. ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის რესპუბლიკურ ფესტივალზე, რეგიონალურ ტურში მონაწილე ოთხივე შემოქმედებითი კოლექტივი: ქალთა ანსამბლი „იამე“, სიმღერის ფოკლორული ანსამბლი „იმერეთი“, ანსამბლი „მასპინძელო“ და ცეკვის ანსამბლი „იმერეთი“ გახდნენ ფესტივალების ლაურეატები. ამათგან ქალთა ანსამბლმა „იამემ“ და ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმერეთმა“ დასკვნითი ტურის გალა კონცერტშიც მიიღო მონაწილეობა.

ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალში მონაწილეობდნენ აგრეთვე ადგილობრივი რეწვის ოსტატები: ხათუნა გურული, ანა გოგიაშვილი და თეა ტალახაძე. სამივე მათგანს ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭა. მათ შორის ხათუნა გურული უკვე არაერთი საერთაშორისო ფესტივალის მონაწილე და გამარჯვებულია.

მერიის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს სპორტულ სკოლასთან. არის მცდელობა, რომ მოწვეული იქნან სპორტის სხვადასხვა სახეობის სპეციალისტები, რომ თერჯოლელ ახალგაზრდებს საშუალება ჰქონდეთ აირჩიონ მათთვის საჭირო და სასურველი სპორტის სახეობა.

მუნიციპალიტეტში უკვე რამდენიმე წელია ტარდება შიდა სასოფლო და მუნიციპალური ტურნირები მინი ფეხბურთში. გასულ წელს შიდა სასოფლო ტურნირები გაიმართა 18 ადმინისტრაციულ ერთეულში და მონაწილეობა მიიღო 900-მა მოყვარულმა ფეხბურთელმა.

გასულ წელსვე დაწესდა ჩვენი მუნიციპალიტეტის აწგარდაცვლილი მერის, ლაშა გოგიაშვილის სახელობის მუნიციპალური ტურნირი, სადაც მონაწილეობა მიიღო 15-მა სოფელმა და 150-მა მოყვარულმა ფეხბურთელმა.

მუნიციპალური ტურები ჩატარდა სოფლებს შორის კალათბურთში, ფრენბურთში, გარბენში, შაშსა და ჭადრაკში. ეს ღონისძიებები ასაკის შეუზღუდავად, მონაწილეობის მისაღებად ეპატიჟება ყველა მსურველს. აღსანიშნავია, რომ შარშანდელ შაშის ჩემპიონატში გაიმარჯვა 82 წლის მონაწილემ გიორგი ფირცხალაშვილმა.

გასულს წელს დაიწყო და 2023 წელში გაგრძელდება განათლებისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაგეგმილი სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2008-09 წლებში დაბადებულ მოზარდებს შორის. მუნიციპალურ ტურში გამარჯვებული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალურ ტურნირებში.

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჩვენს სამსახურს ურთიერთობა უხდება განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროსთან, კულტურული მემკვიდრეობის, დაცული ტერიტორიების, ტურიზმის სააგენტოებთან, რეგიონალურ და რესპუბლიკურ ორგანიზაციებთან, სპორტის სხვადასხვა სახეობების ფედერაციებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. დარწმუნებული ვართ, რომ მათთან ურთიერთობა ხელს შეუწყობს წარმატებულ საქმიანობას. ამ მხრივ გარკვეული სასიკეთო ძვრებია ტურიზმის განვითარების მიმართულებით. ახლო მომავალში თერჯოლის მუნიციპალიტეტი მეტად მიმზიდველი იქნება უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტორებისათვის.

ამ კუთხით იგეგმება გოგნის მიდამოების, ნავენახევის მღვიმის, დავით და სერგო კლდიაშვილების, შალვა და პეტრე ამირანაშვილების მუზეუმების, ქადაგიძის რაფის, გოდოგნის სამონასტრო კომპლექსებისა და ისტორიული თუ ბუნებრივი ძეგლების გააქტიურება-პოპულარიზაცია.

მიმდინარე წელს ბევრი საინტერესო ღონისძიება და აქტივობა გვაქვს დაგეგმილი ჩვენი საქმიანობის ყველა მიმართულებით. ვფიქრობთ, რომ მათ წარმატებით გავართმევთ თავს.

შობა-ახალ წელს გილოცავთ!

ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატები

ახალგაზრდობა, იმედი ხვალის...

გასული წლის 12 დეკემბერი დაუვიწყარ თარიღად დარჩება თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარმატებული კურსდამთავრებულების ცხოვრებაში. ამ დღეს მათი დაჯილდოება გაიმართა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან, ქეთევან შეყრილაძესთან ერთად 2021-2022 სასწავლო წლის წარჩინებული კურსდამთავრებულები ფინანსურად წაახალისა და ბიბლუსის სასაჩუქრე წიგნებით დაჯილდოვა.

,,ვფიქრობ განათლების მხარდაჭერა ყველაზე სწორი ინვესტიციაა, რომელიც მომავალი თაობის განვითარებას ეხება. პირველ რიგში მინდა მოგილოცოთ ეს დიდი წარმატება. გახსოვდეთ, რომ სწავლის სიყვარული, მონდომება და მიზანსწრაფვა ყოველთვის დაგიფასდებათ. ოქროსა და ვერცხლის მედალი ეს არის სიმბოლური ჯილდო, რომლის მიღებისთვის ძალიან დიდი შრომა გაიღეთ და გისურვებთ მომავალშიც ასე გააგრძელოთ. საამაყო და სასიხარულოა, რომ თერჯოლაში გასულ წელთან შედარებით მედალოსანთა რაოდენობა გაიზარდა. ვისურვებდი, სამომავლოდ თქვენი ცოდნა და გამოცდილება ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისკენ მიგემართოდ. მინდა მადლობა გადავუხადო საგანმანათლებლო სკოლის პედაგოგებს და თქვენს მშობლებს ღირსეული თაობის აღზრდისთვის, გისურვებთ წინსვლასა და წარმატებებს"—განაცხადა ახალგაზრდების დაჯილდოებაზე მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მანუჩარ რობაქიძემ.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმაციით თერჯოლის მუნიციპალიტეტში სულ 49 ოქროსა და 11 ვერცხლის მედალოსანია.

წარმატებულ კურსდამთავრებულთა დაჯილდოება, რომელიც თერჯოლის სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მერიისა და საკრებულოს მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომლის მიზანია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წახალისება, მოტივაციის ამაღლება და წარმატებულ მოსწავლეთა წარმოჩენა, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

ღონისძიებას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, დავით გოგბერაშვილი და ჯემალ ისაკაძე, საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი, ზვიად გვადიბაძე და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

მართალია, ამ ღონისძიებას ზოგიერთი კურსდამთავრებული ობიექტური მიზეზების გამო ვერ ესწრებოდა, მაგრამ მათ ნაცვლად წარმოდგენილი იყვნენ მშობლები, ცალკეულ შემთხვევაში დედმამიშვილები, დაჯილდოებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგები და დირექტორები.

ეს ის ღონისძიება იყო, სადაც დაჯილდოებულებს გულწრფელი ტაშითაც უხვად აჯილდოებდნენ იქ მისული აღმზრდელ-პედაგოგები და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, ისინი კი თავის მხრივ ასევე ტაშით ულოცავდნენ ერთმანეთს, მადლობას გამოხატავდნენ აღმზრდელ-პედაგოგებისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისადმი.

გთავაზობთ ერთ-ერთი დაჯილდოებული მოსწავლის საახალწლო მილოცვას თანატოლებისამი

ძვირფასო თანატოლებო!

ახალი წელი უამრავი ადამიანისათვის, მათ შორის ჩემთვისაც, ახალ შესაძლებლობებთან ასოცირდება. კარგად მახსოვს ერთი წლის წინ როგორ ვპირდებოდი საკუთარ თავს, რომ დასახული მიზნების მისაღწევად ძალას არ დავიშურებდი, ჩავირიცხებოდი სასურველ უნივერსიტეტში და სრულ დაფინანსებასაც მოვიპოვებდი. საბედნიეროდ, ასეც მოხდა.

მინდა ჩემს თანატოლებს მივმართო, მიუხედავად იმისა, რომ სწავლა არც თუ ისე მარტივად შეიძლება მოგვეჩვენოს, ის გვეხმარება როგორც სამყაროს, ისე საკუთარი თავის შეცნობაში და გვამზადებს იმ რთულ გამოწვევებთან გასამკლავებლად, რომლითაც, დამეთანხმებით, ცხოვრება სავსეა. ვფიქრობ, ახალგაზრდების მხრიდან სწავლისადმი დაინტერესება ჩვენი ქვეყნის განვითარების საწინდარია. თუ თქვენ დიდ ყურადღებას დაუთმობთ განათლების მიღებას, იპოვით საკუთარ ინტერესებს და ამას ცოტა მოტივაციასა და შრომისმოყვარეობასაც დაუმატებთ, აუცილებლად მიიღებთ სასურველ შედეგს, შეძლებთ წარმატებულ ადამიანებად ჩამოყალიბებას და, შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის განვითარების პროცესში მონაწილეობის მიღებას. გისურვებთ, ახალი 2023 წელი თქვენთვის ყოფილიყოს წარმატების, ახალი შესაძლებლობების მომტანი წელიწადი და აგესრულებინოთ თითოეული თქვენი მიზანი თუ ოცნება.

პატივისცემით,

ნანა თურქაძე,
თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი

ახალგაზრდობა, იმედი ხვალის!

„ყველაზე მაგარი დახვედრა, რაც კი ოდესმე მქონია“...

„ყოველთვის მემახსოვრება თქვენი უთბილესი და გენიალური მასპინძლობა“— ასეთი ჩანაწერი დაგვიტოვა 7 დეკემბერს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა, კელი დეგნანმა, სიქთარვის საჯარო სკოლაში ვიზიტისას სკოლის შთაბეჭდილებების წიგნში, საელჩოს ფეისბუქ გვერდზე კი ასეთი განცხადება გააკეთა:

„რეგიონებში ვიზიტებისას ვერაფერს შევადარებთ იმ დადებით მუხტს, რომელსაც მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების მონახულებისას ვიღებთ. ვხვდებით ენერგიულ, გამჭრიახ, ენთუზიაზმით სავსე ახალგაზრდებს და მასწავლებლებს, რომლებიც თავს არ ზოგავენ მათი აღსაზრდელებისთვის უკეთესი ცხოვრების შესაქმნელად. აშშ-ის მთავრობის მიერ მათთვის შექმნილი ყველა პროგრამის წარმატების მიზეზი სწორედ ისინი არიან. გვიხარია, რომ უკვე 30 წელია, ჩვენი ქვეყნების პარტნიორობისა და მეგობრობის შედეგად, ბევრი მოსწავლისა და მასწავლებლის ცხოვრებას ვცვლით“.

ჭოგნარელი ქართველები უკრაინიდან

გაზეთ „თერჯოლის“ 2022 წლის 15 ივნისის ნომერში ვწერდით ომის ქარცეცხლში გახვეულ უკრაინაში მცხოვრებ ქართველებზე—ჭოგნარელ ჯიმშერ და მირანდა ელიავებზე, მათ ორ შვილზე ანნასა და გიორგიზე, რომლებიც დაბრუნდნენ. ანნამ და გიორგომ სწავლა ჭოგნარის საჯარო სკოლაში—მესამე და მეხუთე კლასში გააგრძელეს. პედაგოგების: ლანა აბდალაძის, მარიტა ციცრიძის, ინგა ხვედელიძის თქმით—ბავშვები ნიჭიერები არიან და ადვილად ითვისებენ ქართულ ენას, სასწავლო პროგრამას, სწორედ ამ პედაგოგების, როგორც კლასის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლის დამსახურებაა, მათი ეს წარმატება.

ანნამ და გიორგიმ იცოდნენ სალაპარაკო ქართული, პედაგოგთა და მშობლების ძალისხმევით ახლა მოწინავეთა რიგებში არიან, კარგად სწავლობენ. სწავლის დაწყებიდან ექვს თვეში ანა და გიორგი ელიავები ასე წერენ ქართულად და ასე ფიქრობენ.

ჩვენც ვულოცავთ ანნას და გიორგის ახალ წელს, მშვიდობას ვუსურვებთ, ამასთან განსაკუთრებული მადლობა გიორგის დამრიგებელს, ქალბატონ ინგა ხვედელიძეს, რედაქციასთან თანამშრომლობისთვის, ანას და გიორგის ყველა პედაგოგს.

ჟუჟუნა ცხადაძე





„შენსკენ სავალი გზები“

ასე ჰქვია ლაშა თაბუკაშვილის პიესას, რომლის პრემიერა წინასაახალწლო დღეებში გაიმართა თერჯოლის კულტურის სახლში. სპექტაკლი წარმოადგინა და მაყურებლებს ულამაზესი წუთები აჩუქა ძევრის საჯარო სკოლამ, მისმა ნორჩმა, თუმცა ნიჭიერმა „თეატრალებმა“.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ძევრის სკოლა და მისი თეატრალური დასი, რომელიც 2014 წლიდან ჩამოყალიბდა, ნამდვილად კარგ საჩუქარს უკეთებს და ანებივრებს თერჯოლელ მაყურებელს, ყოველწლიურად ერთი ან ორი ახალ-ახალი სპექტაკლით და სიამოვნებას ანიჭებს ხელოვნების ამ დარგის მოყვარულებს...

ძევრის სკოლაზე, მის უამრავ საგანმანათლებლო, შემეცნებით თუ სხვადასხვა გასართობ პროექტებზე და პრეზენტაციებზე დაუსრულებლად შეიძლება წერა და საუბარი. ეს სკოლა ერთგვარი მაგალითია იმისა, რომ სიყვარულით საქმის კეთებას ალტერნატივა არ აქვს, რომ თუ სურვილი და მონდომება არ არსებობს გაუკეთებელი საქმე და რა ბედნიერებაა, როცა ეს ყველაფერი მოსწავლე-ახალგაზრდობის, მომავალი თაობის აღზრდის სამსახურშია, რომ ქვეყნის სამომავლო საყრდენი ჭეშმარიტად ჯანსაღ გარემოში დუღაბდება...

კულტურის სააქტო დარბაზი გადაჭედილია, არის მოლოდინი, რომ ძევრის სკოლა ამჯერადაც პროფესიონალურ დონეზე მომზადებული სპექტაკლით წარსდგება მაყურებელთა წინაშე. როგორც ტრადიციულად ხდება ხოლმე.

სპექტაკლის დაწყებამდე სკოლის დირექტორი მანუჩარ ფანჩულიძე, თერჯოლის საკრებულოს ძევრი, ჩხარი, გოგნის მაჟორიტარი დეპუტატი მიესალმება დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას, რომელთა შორის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი მუშაკები, სოფელ ძევრის ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელები, განათლების რესურს-ცენტრისა და სკოლების ხელმძღვანელები, მოსწავლეები, მშობლები არიან. აქ არიან აგრეთვე წინა თაობის „მსახიობები“, რომლებმაც სკოლა დაამთავრეს და ახლა მომავალი თაობის „მსახიობებს“ გულშემატკივრობენ.

დირექტორმა მადლობა გადაუხადა თითოეულს, ასევე სიამაყით აღნიშნა, რომ თეატრის ფუნქციონირებას გარკვეულწილად განაპირობებს სკოლის ყოფილი მოსწავლის, ამჟამად ბიზნესმენ მალხაზ გიორგაძის ფინანსური თანადგომა და პატრონაჟი, მადლობა გადაუხადა აგრეთვე თეატრის უცვლელ რეჟისორს, ტატო პატარიძეს, რომლის დადგმული სპექტაკლებით სკოლა ღირსეულად წარმოჩინდება, როგორც თერჯოლელი მაყურებლის წინაშე, ასევე ქვეყნის მასშტაბით სასკოლო თეატრალურ ფესტივალებზე.

სპექტაკლი დაიწყო მძაფრი მუსიკის ფონზე და პირველივე სურათი არის ნიშანი იმისა, რომ პიესის მსვლელობა მძაფრი სიუჟეტის ფონზე წარიმართება... ასეც მოხდა... თითქოს და ახალგაზრდობაში „ყველაფერი მოსულა“, თუმცა სპექტაკლის სიუჟეტი გარკვეული ზნეობის ჩარჩოებს არ სცდება: უფროსის, მზრუნველის მიმართ პატივისცემის გრძნობა შენარჩუნებულია მაშინაც კი, როცა მთავარი გმირი პოლიციის ალყაშია მოქცეული, მისი სატელეფონო ზარის გამო...

შესანიშნავი სცენური სახეები შექმნეს ნორჩმა მსახიობებმა, იმის მიუხედავად ზოგი მათგანისათვის ეს სპექტაკლი სადებიუტო იყო. სპექტაკლი მაყურებელთა აპლოდისმენტების ფონზე მიმდინარეობდა. პრემიერა წარმატებულად შედგა, რეჟისორმა პირველმა მიულოცა ნორჩ მსახიობებს, მადლობა გადაუხადა თითოეულს და აღნიშნა, რომ სკოლას უნიჭიერესი ახალგაზრდობა ჰყავს, სადაც ყველაფერი ურთიერთგაგებით და სიყვარულით კეთდება... რომ ყოველივე ამაში სტიმულის მიმცემი არის სკოლის დირექტორი, პედაგოგებთან ერთად... რომ მანუჩარ ფანჩულიძე „სულით ხელოვანია“ და უსაზღვროა მისი როლი როგორც საერთო წარმატებაში, ისე თეატრალურ ცხოვრებაში.

შემდეგ იყო მილოცვები, სამახსოვრო სურათების გადაღება და იყო სიხარულისა და ბედნიერების, ერთმანეთის მოფერების წუთები... და იყვნენ უკვე თავდაჯერებული მსახიობი გოგო-ბიჭები, ყველაფერი რომ გამოუვიდათ...

წარმატებები და ისევ წარმატებები ძევრის სკოლას, მრავალი ახალი წელი ძვირფასებო...

მზია ცქიფურიშვილი

სამაგალითო აღმზრდელი

თავის დროზე ამავე წერილში ვიტყვი, ვინ რა თქვა სხვადასხვა დროს მასზე, მაგრამ ჩემი მოკრძალებული სათქმელი მეც მაქვს... დღემდე ჩატარებულ მასწავლებელთა ყველა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციას დავსწრებივარ. პრეზენტატორი მასწავლებლები საუკეთესოდ მომზადებულ თემას წარმოადგენდნენ, ღრმა ანალიზით, ინტერესით მოსასმენს. მე არაფერი გამეგება მათემატიკის, მაგრამ ვიცი, რომ რთული მეცნიერებაა, ყველას ვერ ხელეწიფება მისი ცოდნა, მაგრამ ბოლო გამომსვლელმა, ზედა საზანოს საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა, ზინა ზარნაძემ ისე მოხიბლა დარბაზი, რომ წასასვლელად გამზადებული, თითქმის ფეხზე მდგომი ბევრი დამსწრე დარბაზში დარჩა. მეც დამაგვიანდა ქუთაისისკენ მიმავალ ავტობუსის ბოლო რეისზე. ასეა, მათემატიკას „ნიჭი“ უნდა „ძამიკო“ ნიჭი. აქვს ნიჭი ამ ქალს და ვერ დავუკარგავ.

საზანოს საშუალო სკოლის რვა კლასის დამთავრების შემდეგ, კომაროვის მათემატიკური სკოლა დაამთავრა, იმავე 1972 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1977 წლიდან დღემდე საზანოს სკოლაში მუშაობს. 1986-2006 წწ. იყო სკოლის დირექტორი. მიღებული აქვს „სახალხო განათლების წარჩინებული“ წოდება, 1997 წელს ჩატარებული ატესტაციის შედეგად გახდა „უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი“, არის სოროსის გრანტის ორგზის მფლობელი, გაიმარჯვა იმერეთის მხარის კონკურსში „სოფლის სკოლის საუკეთესო დირექტორი“, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით დაჯილდოებულია ღირსების მედლით. 2007 წელს დირექტორის სასერთიფიკაციო გამოცდაზე მიღებული უმაღლესი ქულებით რაიონში პირველ ადგილზე, დასავლეთ საქართველოში კი ხუთეულში მოხვდა. 2011 წელს მათემატიკისა და პროფესიულ უნარებში ჩაბარებული გამოცდების შემდეგ გახდა სერთიფიცირებული მასწავლებელი, 2016 წელს გაიმარჯვა პედაგოგთა მესამე რაიონულ კონფერენციაში.

ასე ამბობდნენ წლების წინ მასზე...

„ზინა ზარნაძე უნარიანად ხელმძღვანელობს სკოლას, არის პრინციპული, მომთხოვნი, როგორც საკუთარი თავისადმი, ისე სხვებისადმი. მასწავლებელთა ატესტაციის დროს მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდოები, განათლების წარჩინების წოდება. არის უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი. ზ. ზარნაძე პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას, მისი უშუალო ხელმძღვანელობით ბევრი გაკეთდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ზნეობრივი და სულიერი აღზრდისათვის, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მოვლისათვის. საზანოს

სკოლა საუკეთესოა, სკოლის აღსაზრდელებს საუკეთესო შედეგები აქვთ მოპოვებული ზონალურ თუ რესპუბლიკურ ოლიმპიადებში, არის სანიმუშო დედა და მეუღლე“. ასე ახასიათებდა ქალბატონ ზინას რაიონის განათლების განყოფილების მაშინდელი გამგე ამირან გოგიაშვილი. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში თეიმურაზ შაშიაშვილი მადლობის სიტყვაში აღნიშნავს „დამოუკიდებელი ქვეყნის აღმშენებლობა მხოლოდ მაღალი ინტელექტით და შესაბამისი ცოდნით შეიარაღებულ თაობებს ძალუძთ, გამომდინარე აქედან, განათლება სახელმწიფოს პრიორიტეტთა პრიორიტეტია.

სამწუხაროდ, ეს დამოკიდებულება ხშირად ვერ აისახება შესაბამის ღონისძიებებში. პედაგოგი დღეს განიცდის ყველა იმ სოციალურ გაჭირვებას, რომელიც ქვეყანაში არსებობს. მიუხედავად ამისა, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, პედაგოგიური ღირსებებითა და პროფესიონალიზმით თქვენ შეძელით შეუძლებელი—შეინარჩუნეთ სკოლა და პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად წარმატებით დაძლიეთ არსებული სიძნელეები, საკუთარ ენთუზიაზმზე დაყრდნობით უზრუნველყავით სწავლების მაღალი დონე. გულწრფელად გილოცავთ! თქვენ ღირსეულთა შორის გაიმარჯვეთ“. თერჯოლის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე გიორგი ამირანაშვილი ზინა ზარნაძის სამადლობელ წერილში წერდა: „ქედს ვიხრი თქვენი მაღალი პროფესიონალიზმის, თქვენი ნიჭიერების წინაშე. ვამაყობ, რომ ჩვენს გვერდით მოღვაწეობთ, თქვენ რაიონს ამშვენებთ, სამაგალითო თაობებს ზრდით და რაიონში პირველი გახდით სოროსის გრანტის მფლობელი. გულითადად გილოცავთ ამ მაღალ ჯილდოს, თქვენი უანგარო გარჯისა და შრომის შედეგს. გისურვებთ თქვენს პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად წარმატებით, გამარჯვებით, ამაღლებული განწყობით გევლოთ ჩვენი რაიონის და ქვეყნის საკეთილდღეოდ“.

დღესაც, როგორც მასწავლებლად მუშაობის დაწყების პირველი დღიდან, განსაკუთრებულია ზინა ზარნაძის აღმზრდელობითი ზემოქმედების ძალა და ავტორიტეტი, მის მოსწავლეებს შესისლხორცებული აქვთ აზრი იმის შესახებ, რომ სკოლაში სწავლა არის მძიმე, ძნელი, საპასუხისმგებლო, მაგრამ უაღრესად საჭირო შრომა, განსაკუთრებული დანიშნულების საქმე, მასწავლებლად მუშაობის 45, დირექტორად მუშაობის 20 წლის მანძილზე უყრიდა იგი საფუძველს მოსწავლეთა ინტერესს, მისწრაფებებს, იდეალებს, ღირებულებებს...

ქალბატონი ზინა, როგორც სწავლების და აღზრდის წამყვანი ძალა არის განათლებული, მეცნიერების საფუძვლებს დაუფლებული ოსტატი, რომელიც არასოდეს ჩამორჩენია განათლების სისტემაში არსებულ მოთხოვნებს—ზრდიდა და ზრდის თაობებს—დგას მეცნიერებასა და აღსაზრდელებს შორის, როგორც საიმედო ბურჯი.

ზინა ზარნაძე ფიქრობს, რომ ცოდნის შეძენა საჭიროა, მაგრამ ერთიორად საჭიროა მოსწავლე წესიერად აღზრდილი გამოვიდეს და აიარაღებს კიდეც მათ საუკეთესო თვისებებით—შრომისმოყვარეობით, პატიოსნებით, სამართლიანობით, პატრიოტიზმით, ქართული ეროვნული სულისკვეთებით... ეროვნული ჩვეულებების და ტრადიციების სიყვარულით, იგი ხშირად ესაუბრება მოსწავლეებს ზნეობრივზე, ამაღლებულზე, ღირსებულზე, ოჯახის სიწმინდეზე, მრავალი თაობის ერთჭერქვეშ ცხოვრებაზე, ერთად პურობის ჩვეულებაზე, უფროსების პატივისცემის, მამა-პაპური ცხოვრების წესით ცხოვრების აუცილებლობაზე.

გაკვეთილზე მთელი სისრულით ჩანს მისი პიროვნება, ცოდნა, განათლება, კულტურა, მასწავლებლობა მისი გატაცებაა, ამიტომაც არც არასოდეს უფიქრია არც სხვა პროფესიაზე, არც სხვა სამსახურზე... სკოლა და მოსწავლეები მისთვის ყველაფერია, უხარია მოსწავლეთა წარმატებები, ზრდილობიანი ქცევა, მუდამ თვალს ადევნებს აღზრდილებს, მათ სკოლის შემდგომ საქმიანობას... მას არ სჩვევია მიღწეულით დაკმაყოფილება, მოსწავლეებთან ერთად ისიც „იზრდება“, სწავლობდა და სწავლობს დღესაც... ეცნობა სიახლეებს, კარგად იცნობს ეროვნულ სასწავლო გეგმას, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს და არა მარტო იცნობს.

ოჯახი—ქვეყნის ძლიერება

მის ოჯახში ტრადიციულად ყოველთვის იყო ურთიერთგაგება, ერთმანეთის სიყვარული, ტრადიციების დაცვა, საოჯახო-ყოფითი წესჩვეულებისადმი პატივისცემა, შრომობდნენ, ქმნიდნენ... მერე ხანძარმა გაუნადგურათ წლების

ნაშრომი, სახლი, სათავსოები, ყველაფერი რაც კი ებადათ, მახსოვს ზინას წუხილი განსაკუთრებით უმდიდრეს ბიბლიოთეკაზე, უნიკალურ მათემატიკის სახელმძღვანელოებზე...

ზინას მეუღლე გურამ ყიფშიძე ფიზკულტურასა და სპორტს ასწავლიდა, ყოველთვის იყო მოწინავეთა შორის, მისი მოსწავლეები ყველა სახის სპორტულ შეჯიბრებაში წარმატებას აღწევდნენ, ნანახი მაქვს მისი სამუშაო კაბინეტი, იგი სავსე იყო დიპლომებით, სიგელებით, თასებით, გურამი ინტერესით შეხვდა სიახლეს —IX-XII კლასებში ფიზაღზრდის გაკვეთილების სპორტის გაკვეთილებით შეცვლას, ჰქონდა შენიშვნები, წინადადებები, აღწევდა სკოლის სპორტული ინვენტარით შევსებას...

გურამი ახლა პენსიაზეა, მშვიდად და ბედნიერად, მაგრამ ხშირად ფიქრობს სკოლაზე, მოსწავლეებზე, აღზრდილებზე, ინტერესდება მათი ბედით და საქმიანობით.

გურამმა და ზინამ ორი შვილი აღზარდეს. თამუნა მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად თბილისში ცხოვრობს, მაკა ჯერ მშობლებთან არის, გოგონებმა დედის გზა აირჩიეს, ორივე მათემატიკის სპეციალისტები არიან, დედასავით მათემატიკის ნიჭით დაჯილდოებულები...

ასეთია საზანოში მცხოვრები ერთი ჩვეულებრივი, მაგრამ არაჩვეულებრივი ოჯახი—ფუძეძლიერი, საიმედო, მისაბაძი.

მრავალ ახალ წელს დაესწარით!

ავტორიზაცია გავლილია— წარმატებები აღიარებული...

განათლების ღირებულებებს საქართველოს მოსახლეობისათვის ყოველთვის მაღალი პრიორიტეტი ჰქონდა, დიდია ცოდნის დაუფლებისაკენ სწრაფვა, ყველას აქვს სურვილი მიიღოს განათლება, ამგვარი საზოგადოებრივი განწყობა ქვეყნის განვითარების საფუძველია და ამ ეროვნული რესურსის

ამოქმედება სკოლებში ხდება.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაიზარდა მასწავლებელთა ანაზღაურება, რამდენად ამაღლდა ხელფასების ზრდის პარალელურად სწავლების ხარისხი, მასწავლებელთა პროფესიული რეიტინგი, ძნელი სათქმელია, ყველა შემთხვევაში სწავლება უნდა იყოს შედეგებზე ორიენტირებული.

„ხალხი დამოკიდებულია მასწავლებელზე, რადგან ისინი ასწავლიან მათ შვილებს“ საზოგადოება, სკოლა, ოჯახი, მხოლოდ ერთად მუშაობით გააუმჯობესებენ განათლების ხარისხს, განათლება არის ქვეყნის გზა თანამედროვე განვითარებულ სამყაროში. სწორედ განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის წარმატება, საბოლოოდ თითოეული ადამიანის პირადი კეთილდღეობა.

გარკვეული წარმატება მიღწეული მუნიციპალიტეტის განათლების სფეროში, განსაკუთრებული შედეგი აქვს კერძო სკოლა „მზეკაბანს“. 2007 წლიდან-დღემდე განვლილ 15 წლის მანძილზე ყველა კურსდამთავრებული სტუდენტი გახდა, უმეტესობა გრანტით. შთამბეჭდავია 2021-22 სასწავლო წელი. სკოლა 14-მა დაამთავრა, მოეწყო 14 და 3 100%-იანი გრანტით, 1 70%-იანი, 3 50%-იანი გრანტით.

ახალი წლის წინა დღეებში „მზეკაბანმა“ კარგი საჩუქარი მიიღო, ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე სკოლამ ავტორიზაცია მიიღო. ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომრებში ჩვენ დაწვრილებით გავაცნობთ ფართო საზოგადოებას ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას, რითაც ნათელი მოეფინება თუ რა შრომა აქვს გაწეული „მზეკაბანის“ პედაგოგიურ კოლექტივს წლების განმავლობაში.

გაზეთი „თერჯოლა“ ულოცავს „მზეკაბანის“ პედაგოგებს მიღწეულ წარმატებებს, ვულოცავთ მოსწავლეებს, მშობლებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია განათლების ღირებულება.

მარადიულობას შეუერთდა 2022 წელი, შეცვალა იგი 2023 წელმა. ახალ წელს ყოველთვის სიახლე მოაქვს, ამიტომ შეხვდნენ მას „მზეკაბანელები“ დიდი სიხარულით, რწმენით, იმედით.

მშვიდობა ჰქონდეთ მათ სკოლაში, ოჯახში, მოყვასთან, საკუთარ თავთან...

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

გვერდის ავტორი
ჟუჟუნა ცხადაძე

მაია ჭანკვეტაძე: „ღირსეულ თაობას აღვზრდით“...

„ღირსეულ თაობას აღვზრდითო“—ეს სიტყვები არის ერთგვარი დაპირება... ამ ბაღში საამისო განწყობა და საამისო ენთუზიაზმია, საამისოდ საინტერესო ხედვაც აქვს ბაგა-ბაღის ახალ დირექტორს, ქალბატონ მაიას, რომელმაც საახალწლოდ სამადლობელი წერილი გამოგვიგზავნა რედაქციაში.

2022 წელს სოფელ ზედა საზანოში ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. 2022-2023 სასწავლო წელი აქ ახალი სტანდარტების შესაბამისად აშენებულ საბავშვო ბაგა-ბაღში დაიწყო. ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი სოფლისათვის და თითოეული ჩვენი აღსაზრდელისათვის.

ბაგა-ბაღის მშენებლობა ცხრა თვე მიმდინარეობდა და 2022 წლის 22 ივნისს ჩაბარდა.

ბაგა-ბაღი ორსართულიანია, ის 100-მდე აღსაზრდელზეა გათვლილი. შენობა აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, რაც აუცილებელია ბავშვთა უსაფრთხოებისათვის.

ბაგა-ბაღი ადაპტირებულია ლიფტით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

პროექტის ფარგლებში მოეწყო ადმინისტრაციის, ბავშვთა სათამაშო, საძინებლები და საადილო ოთახები. დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა და სველი წერტილები.

საბავშვო ბაგა-ბაღი აღჭურვილია ეკოლოგიურად სუფთა მასალისაგან დამზადებული ავეჯით და სათამაშოებით. კეთილმოწყობილია საბავშვო ბაგა ბაღის ეზო, სადაც განთავსებულია გასართობი ატრაქციონები, ქვიშის ორმოები.

საბავშვო ბაგა-ბაღის სამშენებლო სამუშაოები რგფ და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა და სულ 944 000 ლარი დაჯდა.

საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის მთელ პროცესს თვალყურს ვადევნებდი საძირკველის ჩაყრის დღიდან. მე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მშენებელ ფირმა „მტმ“-ის დირექტორს ბატონ მევლუდ გეწაძეს, მშენებელს გიორგი ბოჭორიშვილს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ერთი აგური მაინც დადო ბაგა-ბაღის მშენებლობაზე.

მოხარული ვარ, რომ ვმუშაობ ისეთ მუნიციპალიტეტში, სადაც ბავშვთა კეთილდღეობა და მათი ბედნიერი მომავალი მთავარი პრიორიტეტია. მადლობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ მანუჩარ რობაქიძეს, თერჯოლის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ბარათაშვილს, თუზისა და საზანოს მაჟორიტარ დებუტატს ბატონ დავით გოგბერაშვილს და ხელისუფლების ყველა წარმომადგენელს ამ უდიდესი ღვაწლისათვის. მადლობა სკოლამდელი აღზრდის ხელმძღვანელს მაია თორთლაძეს.

წარმატებებს ვუსურვებ ბაღის თითოეულ თანამშრომელს.

მაია ჭანკვეტაძე,
საზანოს ბაგა-ბაღის
დირექტორი

სამადლობელი

ყველას დიდი მადლობა ზედა საზანოში ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად საბავშვო ბაგა-ბაღის აშენებისათვის.

ჩემი შვილებისა და ყველა მომავალი აღსაზრდელისათვის ყველანაირი პირობაა შექმნილი, რომ ბავშვმა სკოლამდელი განათლება მიიღოს უსაფრთხო გარემოში. იყოს ჩართული სხვა დასხვა აქტივობაში, იმუშაონ გუნდურად.

მადლობა აღმზრდელებს, ახალ დირექტორს, ქალბატონ მაია ჭანკვეტაძეს.

ბავშვები თავს გრძნობენ ყველანაირად დაცულად და უსაფრთხოდ, შიდა და გარე ინტერიერი კომფორტულადაა მოწყობილი. ბავშვებს საშუალება აქვთ ეზოში სხვადასხვა ატრაქციონებით ისარგებლონ, რაც დიდ სიამოვნებას ანიჭებთ მათ.

დიდი მადლობა, თერჯოლის მუნიციპალიტეტს, ახალ წელს გილოცავთ.

ლელა დოგრაშვილი,
მშობელი

არ დაგავიწყდეთ ჩვენი გაზეთის გამოწერა 2023 წლისათვის!

ახალი—2023 წელი, ჩვენი გაზეთის 90 წლის იუბილის წელია!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

გაზეთის ერთი ნომრის ღირებულებაა 50 თეთრი,
6 თვით - 6 ლარი, წლით - 12 ლარი.
ხელმომწერთათვის დადგენილია სხვადასხვა შეღავათები.

მონატრება

საქართველოდან საზღვარგარეთ წასული ოჯახებისა თუ მისი ცალკეული წევრების მიზანი ნათელია—ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. მიდიან ახალგაზრდები, ჩვენი ჭკვიანი, ლამაზი, განათლებული გოგო-ბიჭები, მიდიან დედები და ტოვებენ შვილებს, თავიანთ გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობებს უცხო ქვეყანაში ცდიან და ახმარენ კიდეც. აქ მიუღებელი და დამღუპველი არაფერია, მაგრამ ჩვენი ცხოვრების წესი და ყოფითი თავისებურებები იქაც უნდა შევინარჩუნოთ, ძალიან არ უნდა გაიდგას ფესვები მასპინძელ ქვეყანაში დიდხანს დარჩენის სურვილმა და სიმდიდრის დაგროვების მცდელობამ, იქაც, აქაც და ყველგან საკუთარ ქვეყანაზე უნდა ვიფიქროთ... ვიფიქროთ დაბრუნებაზე, დატოვებულ ოჯახებზე...

...ახლა მრავალი საშუალება არსებობს საზღვარგარეთ წასული დედები, შვილები, ბებიები დაუკავშირდნენ ოჯახის წევრებს, მონატრების გაძლიერებული სურვილი ოდნავ მაინც დაიკმაყოფილონ. სოფელ ნახშირღელიდანაც არიან ადამიანები წასული დროებით საცხოვრებლად და სამუშაოდ. ნახშირღელის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე ანა ბერძული და ანას ემიგრანტი დედა ნატაშა ნოსკოვა ერთმანეთს ხშირად ესაუბრებიან ტელეფონით, ინტერნეტით, მაგრამ მათ ურთიერთობაში მიწერ-მოწერაც გაჩნდა.

წერილი დედას

ანა ბერძული: ნახშირღელის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე

დედა როგორ ხარ? იმედი მაქვს კარგად. მენატრები, ყოველდღე სულმოუთქმელად ველი შენს ზარს. შენთან საუბარი მენატრება დედა. დიდი ხანია არ ხარ ჩემს გვერდით, დამიგროვდა სათქმელი: ზოგჯერ, როცა ვხედავ დედა –შვილს, სევდა გულში ისარივით სწრაფად ჩაივლის და ვფიქრობ, ნეტავ მეც ისე ხშირად ვატარებდე დროს შენთან ერთად, როგორც სხვა ჩემი ტოლები თავის დედებთან. დედა, ახლა როცა ამ წერილს გწერ, მონატრება უფრო და უფრო მკლავს. ვიცი, დედი, შენც გიჭირს ჩვენგან შორს ყოფნა, მაგრამ ვიცი, რომ ეს ასე არის საჭირო. რომ მკითხონ, რა არის შენი სურვილი, ვინატრებდი, რომ არა მარტო ჩემი დედა, არამედ ყველა, ქვეყნიდან წასული ემიგრანტი დედა მინდა რომ ჩამოვიდეს, რადგან დედაზე ტკბილი არაფერია.

ჩემო საყვარელო, გილოცავ ახალ წელს, მრავალს დაესწარი, მინდა რომ ჩამოხვიდე და გაგვახარო. მინდა, რომ ამ ახალ წელს ყველა ბავშვს ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, ნახონ თავიანთი დედიკოები და არასდროს დაავიწყდეთ უთხრან დედას ძალიან ხშირად: დედა მიყვარხარ!

შენი ანა

ნატაშა ნოსკოვა—ანა ბერძულის ემიგრანტი დედა

ანა, ჩემო მონატრებულო შვილო!

მინდა ძალიან მალე გნახო, ჩაგეხუტო და შევიგრძნო შენი ტკბილი სურნელი. ძალიან ძნელია ჩემთვის შვილებისგან შორს ცხოვრება. ვიცი, შენც ბევრჯერ გაგიჭირდა უჩემობა, ვერ გავხდი მოზიარე შენი სიხარულისა და დარდის. იმედს ვიტოვებ, რომ მალე შევძლებ იმ სურვილების ასრულებას, რომლის ასრულება ძალიან, ძალიან მინდა. ჩვენი სიყვარული ისეთი უხილავი ძაფებით არის ერთმანეთთან დაკავშირებული, სიშორეც ვერაფერს დაგვაკლებს. კიდევ ერთი წელი გავიდა და მე ისევ მარტო ვხვდები ახალ წელს. ძნელია განშორება, დღესასწაულის აღნიშვნა ოჯახის წევრებისგან მოშორებით. ანა, ჩემო ცხოვრებავ და დედის დიდო იმედო, გილოცავ დამდეგ ახალ წელს, ლაღ და მსოფლიოში ყველაზე კარგ ცხოვრებას გისურვებ. ვიმედოვნებ, რომ მალე შევძლებ შენს გულში ჩაკვრას.

ცხოვრების აზრო, ჩემო იმედო, ძალიან მიყვარხარ და მინდა, რომ მომავალ წელს ერთად შევხვდეთ. მიულოცე ყველა შენს მეგობარს, ვუსურვებ ყველაფერს კარგს, ჩაეხუტონ თავიანთ დედიკოებს, რადგან დედისთვის შვილის სიყვარული ყველაზე მნიშვნელოვანია.

მიყვარხარ და ძალიან მენატრები.

შენი დედიკო

ნუ დაღონდები დედას მონატრებულო ანა, ნურც თქვენ ქალბატონო ნატაშა, თქვენი, თქვენნაირი დედა-შვილის განშორება დროებითია, მალე ისევ ერთად იქნებით, ერთ ჭერქვეშ, ერთ ფრთებქვეშ და ბედნიერება დაისადგურებს ჩვენს, თქვენს გულებში, მანამდე კი ამ წერილებით, საუბრებით გააძლიერეთ ერთმანეთი. ერთი ოჯახის წევრებს კი არა ჩვენც მოგვენატრეთ, მშვიდობა გქონდეთ თქვენ ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ჩვენ აქ, საქართველოში...

ჩვენც გილოცავთ!

ჟუჟუნა ცხადაძე

P.S. გაზეთ „თერჯოლის“ რედაქცია მადლობას უხდის ნახშირღელის საჯარო სკოლის პედაგოგს, ანა ბერძულის მასწავლებელს და დამრიგებელს გუგული ხუჯაძეს, რომელიც ჩვენს ჟურნალისტს დაეხმარა ამ წერილების მოპოვებაში.

როგორი იქნება შავი კურდღლის წელი სხვადასხვა ნიშნისთვის და რა უნდა გააკეთოთ, რომ წარმატება და იღბალი მოიზიდოთ

2023 წელს შავი კურდღლის წელია. წლის მთავარი სიმბოლო სიმშვიდეს და სტაბილურობას გვპირდება.

ასტროლოგების თქმით, შავი კურდღლის წელი თითოეულ ადამიანს გამბედაობასა და სიმამაცეს მიანიჭებს, ამიტომაც, ნიშანი მშიშრად სრულიად უსამართლოდ ითვლება. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ კურდღელი შესანიშნავი მეოჯახეა. ამიტომაც, 2023 წელს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებული ყურადღება ოჯახსა და საყვარელ ადამიანებზე ზრუნვას დაუთმოთ, დაგეგმოთ მათთან ერთად მოგზაურობა და დრო სასიამოვნოდ გაატაროთ. თუ გსურთ, წლის მთავარი სიმბოლო გაახაროთ და მისგან კეთილგანწყობა დაიმსახუროთ, პოზიტიურ განწყობას, თბილ ურთიერთობებს, სხვების მხარდაჭერასა და გამხნევებას დრო დაუთმეთ.

ჩინურ ჰოროსკოპში კურდღელი მეოთხე, იღბლიან ადგილს იკავებს. აღსანიშნავია, რომ ჩინური კალენდარი განსხვავებულია და ახალი წელი ამ კალენდრის

მიხედვით პირველ იანვარს კი არა, 21 იანვრიდან 21 თებერვლის მონაკვეთში აღინიშნება. 2023 წელი კი 22 იანვარს დადგება და 2024 წლის 9 თებერვალს დასრულდება.

გასათვალისწინებელია, რომ კურდღელს საკუთარი ბუდე, სიმშვიდე უყვარს. ამიტომაც, სჯობს 2022 წლის დასრულებამდე სახლის საქმეები მოაგვაროთ და ისე შეხვდეთ ახალ წელს. ასტროლოგები გვირჩევენ, რომ კურდღლის წლისთვის წინასწარ მოვემზადოთ, ვალები დავფაროთ, სხვადასხვა ვალდებულება შევასრულოთ, გადავიხადოთ გადასახადები, მოვაწესრიგოთ დოკუმენტები და ძველი კონფლიქტები მოვაგვაროთ.

კურდღელი ასტროლოგიაში შესანიშნავ დიპლომატად ითვლება. მნიშვნელოვანია, რომ დრო ემოციურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას დაუთმოთ. წლის განმავლობაში კურდღლის დიპლომატიური მიდგომისა და სიმშვიდის გამო ბევრი კონფლიქტის თავიდან არიდება შეგიძლიათ. მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ ნეგატიურ განწყობებს არ დაემორჩილოთ და მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდეთ. ასტროლოგების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კურდღელი საკმაოდ შრომისმოყვარე ნიშნად ითვლება, ამ წელს განსაკუთრებულ კარიერულ წინსვლას არ უნდა ველოდოთ. ეს ცხოველი ძალიან კარგად აკეთებს უკვე არსებულ და ნაცნობ საქმეებს, მაგრამ ნოვატორობით არ გამოირჩევა.

კურდღელს არ უყვარს სპონტანური გადაწყვეტილებების მიღება. საკმაოდ გონიერი და მოწესრიგებული ცხოველია, ამიტომაც ამ წელს შესანიშნავი შესაძლებლობა გაქვთ, რომ ახალი ცოდნა მიიღოთ, პროფესიულად განვითარდეთ. ასტროლოგების თქმით, კურდღლის წელი განსაკუთრებით ხელსაყრელი და წარმატებული იქნება იმ ხალხისთვის, რომლებიც ადამიანებთან მუშაობენ და უფრო ხშირი კომუნიკაცია აქვთ მათთან. ასეთები არიან მაგალითად მასწავლებლები, იურისტები, ექიმები და ფსიქოლოგები.

ასევე, შავი კურდღელი ახალი ნაცნობებისა და მეგობრების აღმოჩენის თვალსაზრისით, საკმაოდ ნაყოფიერ წელს გვპირდება, რომელიც მომავალში უფრო სერიოზულ კავშირად გადაიქცევა. შესაძლოა, ამ წელს მოულოდნელად ძველი მეგობრებიც გამოჩნდნენ, რომლებთანაც სხვადასხვა მიზეზის გამო ბოლო წლებში არც ისე კარგი დამოკიდებულება გქონდათ. ახლა თბილი ურთიერთობების აღდგენას მოახერხებთ. ასტროლოგები მოზარდების მშობლებს განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდებენ, რადგანაც არსებობს რისკები, რომ ისინი ცუდ წრეში მოხვდნენ, არასწორი გადაწყვეტილებები მიიღონ და ნეგატიური გავლენის ქვეშ მოექცნენ.

როგორ მოვიგოთ შავი კურდღლის გული, რომ წარმატებული წელი გვქონდეს?

კურდღელი საკმაოდ მეოჯახე ნიშანია, ამიტომაც ჯობს, ახალ წელს ძველი სტილით, ისე როგორც ახალი სტილით ოჯახის წევრებთან, თბილ და მშობლიურ გარემოში შეხვდეთ და უარი თქვათ რესტორანსა და უცხო ადამიანებთან კომუნიკაციაზე. საახალწლო სუფრაზე კურდღლის ხორცი არ დადოთ. შეგიძლიათ, ჩაიცვათ შავი სამოსი და ბრჭყვიალა აქსესუარები მოირგოთ. გახსოვდეთ, კურდღელი წყლის ნიშანია და ეს ძალიან მოეწონება. ნაცრისფერსა და თეთრსაც დიდ პატივს სცემენ. რთული ვარცხნილობები და პომპეზური სამოსი შემდეგი წლებისთვის აირჩიეთ, წყლის შავი კურდღელი სიმარტივესა და პრაქტიკულობას ირჩევს. იგივე მიდგომა გამოიყენეთ ინტერიერის დიზაინისთვის. უპირატესობა ღია ფერებს მიანიჭეთ, აირჩიეთ ქოთნის ყვავილები და სახლში მოათავსეთ ყველაფერი, რაც კომფორტულობისა და სიმყუდროვის განცდას შეგიქმნით. გამოიყენეთ რბილი, ფუმფულა ბალიშები, თბილი საბნები.

მათ, ვინც გადაწყვეტს, სახლში ცოცხალი კურდღელი შეიფაროს და მასზე იზრუნოს, 2023 წელი განსაკუთრებულ წარმატებას ჰპირდება.

შეხვედრა და საუბარი თოვლის ბაბუასთან

—ახალ 2023 წელთან ერთად რომ შემოგვეახლა ტკბილეულით სავსე ხურჯინითა და კეთილი სურვილებით ხელდამშვენებული.

თოვლის ბაბუა, ვიცი გაიხარებ ჩვენი ქალაქის განახლებული სახით. ასეა, რა არ შეუძლია ადამიანის ხელს როცა გული გულობს! გახედე ქალაქის ქუჩებს, გალამაზებულსა და სახეგანათებულ შენობებს, საცხოვრებელ კორპუსებს, გაზონებს... და... ჯერ სად არის, წინ ბევრი სიახლე გველის. ინფრასტრუქტურული პროექტები ჯერაც როდია დასრულებული. ჩვენი მშენებლები ჩვენთან ერთად მოწოდებულნი არიან მუნიციპალიტეტის ცენტრს ახალი იერი და სახე შესძინონ.

ასევე სასიამოვნო ფერისცვალება ხდება სოფლად. თანდათან წარსულს ბარდება სასმელი წყლის დეფიციტი. ყველგან, ყველა დასახლებულ პუნქტსა და სოფელში აინთო ცისფერი ალი, კეთდება ქუჩის განათებები, სპორტული მოედნები, სკვერები...

კეთილი იყოს შენი ფეხი ყოველ ოჯახში.

დაე, ყოველ საცხოვრისს დაუბრუნდეს თავის მკვიდრი...

ყოველ ჭიშკარს მოეხსნას მძიმე ბოქლომი.

ყოველი ბუხრიდან ამოდიოდეს კვამლი.

გარე სამყაროს უნდა ვაჩვენოთ, რომ გვაქვს უნარი—შევქმნათ! ეს არის დღის წესრიგი.

„სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“ უნდა ამოძრავებდეს ადამიანს ყოველდღიურად, ყოველი საქმის კეთებისას...

ჩვენ იმედის ხმა უნდა ვაწვდინოთ მომავალს.

გმადლობთ, თოვლის ბაბუა. გპირდებით, მთელი რუდუნებით ვიღვაწებთ მამულის საკეთილდღეოდ.

ეგების ზენაარმა დაგვლოცოს და მზემაც მეტი სითბო გამოგვიგზავნოს, რათა იბერიამ იბრწყინოს კვლავაც, რომ მოგვეცეს ძალა თვალს თამამად ვუსწორებდეთ ეპოქის სუნთქვას.

ჩაიწერა ნუგზარ გამყრელიძემ

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციას

მინდა ჩემი უდიდესი სიყვარული და პატივისცემა კიდევ ერთხელ გამოგიცხადოთ და ახალი წელი მოგილოცოთ, ჩემთვის ძვირფას ადამიანებს, რომლებიც მრავალი წელია უანგაროდ, დიდი პასუხისმგებლობით, პროფესიონალიზმით ჰქმნით გაზეთს და ამით რაიონის ყოველდღიურობას ისტორიის კუთვნილებად აქცევთ.

გაზეთის თითოეული ნომერი ძვირფასია და მრავლისდამტევი. სხვადასხვა ინფორმაციები, ნარკვევი მასალები, ინტერვიუები, ღირსეულ ადამიანთა წარმოჩენა თუ სპეციალისტთა რჩევა-დარიგებები და ა.შ. ჩემთვის ძალიან საინტერესოა. მთელი ცხოვრება გავატარე ამ გაზეთთან ერთად და მიხარია, რომ დღესაც მაქვს ამის შესაძლებლობა...

მიყვარხართ, მეიმედებით და მეამაყებით, დიდხანს სიცოცხლესა და კვლავაც საყვარელი საქმის მსახურებას გისურვებთ თითოეულს...

მრავალი ახალი წელი ბედნიერად გაგითენოთ უფალმა თქვენ და სრულიად თერჯოლას.

მრავალ ახალ წელს დაესწარით!

გულინა ფანჩულიძე, პენსიონერი პედაგოგი

გილოცავთ, დიდხანს იცოცხლეთ ნარგიზ მასწავლებელო!

ღვაწლმოსილი პედაგოგი, ამაგდარი მასწავლებელი, მრავალი თაობის აღმზრდელი, ღირსეული დედა და ბებია, საოცარი ფიზიკური და პიროვნული ხიბლით გამორჩეული ადამიანი, ქალბატონი ნარგიზი მარუაშვილი იუბილარია.

თქვენი მეგობრები და კოლეგები დიდი სიყვარულით გილოცავთ 80 წლის იუბილეს. ნარგიზი მასწავლებელო, ღმერთმა ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და თქვენი კარგი მონაგარით ტკბობა არ მოგაკლოთ.

გვიყვარხართ!

მრავალ ახალ წელს დაესწარით!

ვარდიგორის სკოლის
პედაგოგიური კოლექტივი

ვულოცავთ! ვულოცავთ!

2022 წელი წარმატებული იყო თერჯოლელი სპორტსმენებისათვის. მათ სპორტის სხვადასხვა სახეობაში მოიპოვეს: 36 ოქროს, 75 ვერცხლის და 73 ბრინჯაოს მედალი.

როგორც ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დირექტორმა **ირაკლი ჩხეიძემ** გვაცნობა ამ შედეგების მიღწევაში სპორტსმენებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს მწვრთნელებმა: **ლერი რობაქიძემ, ზურაბ გავაშელაშვილმა, მალხაზ თურქაძემ, ლერი ჯიხვაშვილმა, კახა მაკარიძემ, დემურ გურგენიძემ, ლალი დიაკონიძემ, ზურაბ ჩაფიჩაძემ, გია ჭუმბურიძემ, მერი ჩაფიჩაძემ,** ასევე მთელმა ადმინისტრაციულმა სამსახურმა.

არის საერთო მოტივაცია, რომ 2023 წელში შედეგები უფრო თვალსაჩინო იქნება.

ნინი წივწივაძე თერჯოლის წლის სპორტსმენია!

ეს ნორჩი მოჭადრაკე **ნინი წივწივაძეა.** თერჯოლის №1 საჯარო სკოლის (დირექტორი **ელისო მურადაშვილი,** დამრიგებელი **ხათუნა ჩუბინიძე**) მე-6 კლასელია. წარჩინებულ სწავლასთან ერთად თვალსაჩინო მიღწევები აქვს ჭადრაკშიც. თერჯოლის

სპორტსკოლაში ოსტატობის კანდიდატ **გია ჭუმბურიძის** ხელმძღვანელობით უკვე მოასწრო იმედისმომცემი წარმატებების მიღწევა ჭადრაკის დაფაზე.

7 წლისამ პირველი გამარჯვება იზეიმა ქ. ქუთაისში გამართულ ზურაბ მეტრეველის სახელობის მემორიალზე.

8-წლიან გოგონათა შორის გახდა საქართველოს ჩემპიონი, რითაც მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის საგზური ბრატისლავაში.

8 წლისა გახდა საქართველოს ვიცე ჩემპიონი სწრაფ ჭადრაკში.

ის იმერეთის ჩემპიონატის ორგზის ჩემპიონია.

რაც შეეხება მის შედეგებს 2022 წელს.

მან ქ. სამტრედიაში მოიგო ანზორ მაჩიტიძის სახელობის მემორიალი.

იმერეთის ღია რეიტინგ-ტურნირში აიღო III ადგილი.

ქ. ზესტაფონში მოიგო ჯემალ მახათაძის სახელობის მემორიალი.

იმერეთის ღია საჭადრაკო ტურნირში მოიპოვა III ადგილი.

ქ. ვანში ნინო ხურციძის მემორიალზე გახდა II პრიზიორი.

ქ. ახალციხეში საჭადრაკო ფესტივალზე დაიმსახურა მე-3 ადგილი.

მან გაიმარჯვა საქართველოს (ონლაინ) ჩემპიონატში 11 წლამდე ასაკის გოგონათა შორის.

ქ. თბილისში, 1200 რეიტინგ კატეგორიაში ქალთა შორის მოიპოვა მე-3 ადგილი.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ნინის სახით ერთი გამორჩეული ჭადრაკის ოსტატი გვეზრდება. ის ნიჭიერია და მუყაითი. მწვრთნელი, ოსტატობის კანდიდატი გია ჭუმბურიძე და მისი აღსაზრდელი ბევრს და ნაყოფიერად მუშაობენ.

ხვალინდელი დღე ბევრს გვპირდება.

მწვრთნელის ენთუზიაზმი და ნიჭიერი მოსწავლის ერთობლივი მუშაობა უახლოეს მომავალში კიდევ უფრო საჩინო გახდება.

ვულოცავთ მათ ახალ წელს და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ, რაშიც ეჭვი არ გვეპარება.

გაზეთი „თერჯოლა“

ვალერი გოგნაძის სახელობის ტურნირი

მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა სასკოლო სპორტის განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში. გამორჩეული იყო ამ მხრივ ღვანკითის საჯარო სკოლა (დირექტორი ინგა ჯალიაშვილი), სადაც რუსეთ-საქართველოს ომში ტრაგიკულ

ლად დაღუპული, ჩვენი დროის გმირის, ვალერი გოგნაძის სახელობის ტურნირი ჩატარდა. ტურნირში მონაწილეობდნენ ქუთაისის, მაღლაკის, ტყიბულისა და ღვანკითის სკოლის გუნდები. ვალერი გოგნაძის სახელობის თასის მფლობელები გახდნენ ღვანკითელი „ნორჩი იუნკერები“.

„ფეხბურთი მარტო სპორტი არ არის, ის ამავე დროს საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სოციალური მოვლენაა“— აცხადებენ ორგანიზაციის „ახალგაზრდული მოძრაობა ჯანსაღი და ნათელი მომავლისათვის“ ლიდერები. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან. სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგი იყო ის, რომ ახლადშექმნილ გუნდის წევრებს სპორტული საჩუქრები დაურიგდათ, ახლა ფეხბურთელები უფრო ხალისით ვარჯიშობენ სპორტულ მოედანზე. ფეხბურთელებისთვის ბურთებისა და სპორტული ფორმების შეძენისათვის, გუნდის შექმნის დღიდან დღემდე, ბევრმა გამოიჩინა გულისხმიერება და დაეხმარა გუნდს. მათ შორის არიან: ირაკლი კუბლაშვილი, შოთა ზარნაძე და კოტე ყიფიანი. მათ ფინანსური და მორალური მხარდაჭერა გამოიჩინეს „ნორჩი იუნკერების“ მიმართ. ღვანკითელი მოზარდები თავდაუზოგავად ვარჯიშობდნენ მწვრთნელების მითითებებით ღვანკითის მინი სტადიონზე, სადაც მათთვის სოფელში მერის წარმომადგენლობამ და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიამ ბავშვთა გასახდელი შენობა მოაწყო. პრაქტიკულ ვარჯიშებთან ერთად ფეხბურთელებს უტარდებოდათ თეორიული მეცადინეობები...

ახალ წარმატებებს გისურვებთ ახალ წელში „ნორჩო იუნკერელებო“!

ჟუჟუნა ცხადაძე

ლაშა გოგიაშვილის სახელობის თასი ზურაბ ბოჭორიშვილს გადაეცა

წინასაახალწლო დღეებში ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ღია ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში.

ტურნირი, რომელიც ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერის, ლაშა გოგიაშვილის ხსოვნას მიეძღვნა. ტურნირში საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან 200-მდე მოჭიდავე იღებდა მონაწილეობას.

ღონისძიებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებმაც გამარჯვებულებს შესაბამისი მედლები და სიგელები გადასცეს, გამარჯვება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

ტურნირში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისა და ძიუდოს ჯგუფების ახალბედა სპორტსმენებმაც იასპარეზეს და სხვადასხვა წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილებს დაეუფლნენ.

ტურნირის საუკეთესო მონაწილე და ლაშა გოგიაშვილის სახელობის თასის მფლობელი თერჯოლელი ზურაბ ბოჭორიშვილი გახდა.

ვულოცავთ!

კროსვორდი
გილოცავთ კურდღლის წელიწადს



1. როგორ კურდღელს ვერ დაიჭერს მწევარი? 2. კურდღლის ნაშიერი. 3. საგანგებოდ გამოყოფილი ადგილი იშვიათი ცხოველებისა ან მცენარეების მოსაშენებლად. 4. შინაური კურდღელი. 5. მძიმე გადამდები დაავადება. 6. განთიადი, ანუ... 7. შორისდებული, რომელიც გამოხატავს აღტაცებას. 8. ცხენების სადგომი ნაგებობა. 9. ჩიტების საჭერი მახე. 10. სოფელი ყვარლის რაიონში. 11. ზნეობა, ანუ... 12. საჯარო პაექრობა ანუ... 13. დადებითი თვისება ანუ... 14. მიდებულ-მოდებული ამბები. 15. ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში ხუთქიმიანი და თორმეტმარცვლიანი ჩვეულებრივი ურითმო ლექსი. 16. სიკეთე, მოწყალება ანუ... 17. მზის სისტემის პლანეტა, რომელზეც განვითარებულია ორგანული სიცოცხლე. 18. პირი, რომელიც ახალი წლის დილით პირველი შედის ვისიმე ოჯახში და ულოცავს ახალი წლის დადგომას. 19. საეკლესიო მღვდელმსახურება. 20. რელიგია, რომელსაც საფუძვლად უდევს იესო ქრისტეს კულტი. 21. გაზეთ „თერჯოლის“ ადრინდელი სახელწოდება. 22. ჯოხი (მეტწილად თხილის) ბურბუშელისებრი ანათალებით. 23. სუფრაზე წარმოთქმული სიტყვა. 24. თერჯოლის ძველი სახელი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:
1. ტურიზმი. 2. კარუგდებელი. 3. ჩიხორი. 4. კანიონი. 5. ზურგჩანთა. 6. მღვიმე. 7. სიმონეთი. 8. სკანდე. 9. მარშრუტი. 10. ჩხარი. 11. საგვარჯილე. 12. ნავენახევი. 13. ჩანჩქერი.



საახალწლო-სალაღობო მილოცვები თითო გაღიმების ფასად

(დაცულია ანბანი)

გელუკა ბუიღლიშვილი—ახალგაზრდა მწერალი
შენი ლამაზი სიტყვა-სტრიქონი
გარანდულ-გათლილი
ფართო მკითხველზეა გათვლილი.
გვესმის შენი ძახილი და გულისფეთქვა,
შენს კალამს ოქროსწვერი აქვს
—ეს გვინდოდა გვეთქვა.

შუქური ვერულაშვილი—აგროქიმიკოს ნიადაგმცოდნე
ჩემს ღვინოს ჩემივე ოჯახის დიდი საახალწლო კონკურსის ოქროს მედალი გულზე უკეთია.
—ნამდვილი ბუკეტია!
დანარჩენს არ გეტყვით,
(სა, მცალია სატრაბახოდ).
შეგიძლიათ მობრძანდეთ
და ადგილზე ნახოთ!..

ნუგზარ კობერიძე—პედაგოგი, პოეტი
ნუგზარ, ნუგზარი რომ გქვია,
სახელად ესეც კმარაო.
გვიხარის შენი ლექსი ფრთიანი,
როგორც ნამღერი ნანაო.

გონერი მოსელიძე—პედაგოგი, პოეტი
შენი ლექსი მოქანდაკის ნამუშევარს გვაგონებს,
შენი ლექსის ჩუქურთმა მოქანდაკის ნაქანდაკარია.
მოკლედ გეტყვი—
მაგარია!

ზურაბ რობაქიძე—აკადემიკოსი, თერჯოლის საპატიო მოქალაქე
მთელი ცხოვრება ვებრძოდი და ვამარცხებდი ლეიკოზს,
ცხრა ათეული ადვილად ავიარე, აქაც არაფერი თითქოს.
ახლა ჩემს საყვარელ მამულში ვარ, ჩემს წარსულს ველაპარაკები
აქ თავს მახსენებენ ლამაზი ზღაპრები, ლეგენდები და ჩემი სოფლის იგავ-არაკები.
ეს ჩემი სამშობლოა, ჩემი ბავშვობა აქ მემალება
აი, რას ნიშნავს ჩემი აქ ყოფნა, აქ რატომა ვარ, რა მევალება...

დალი სარალიძე—საქართველოს დამსახურებული პედაგოგი
ახალგაზრდული და პარტიული მმართველობების სფერო...
სკოლა, ოჯახი...
საქმე გარეთა და საქმე შინა...
მაგრამ, ვერც ქარმა, ვერცა ნიავმა,
ვერ შემაშინა!



კოტე ჩარექიშვილი—სპორტსმენი, მწვრთნელი, მსაჯი,
ოქმების,
აქტების,
ფაქტების მიმწერ-მომწერი, მწერალი,
ანუ... ამ საქმის მწვერვალი!
ბოლომდე მაინც არ დავნებდი, არ დავიღალე,
ან... რა დამღლიდა—
როცა სიბერეს დავცქერ მაღლიდან!

ნაირა ჩინჩალაძე—ეკონომისტი, პენსიონერი
ავის და კარგის ამწონ-დამწონი,
როგორიც ვიყავი, დავრჩი იმ**ნაირად**,
მე არ შემეძლო სხვა**ნაირად**.
ცოტა წავიავადმყოფე, მაგრამ კარგად ვარ ეხლა,
კუჭის წყლული რას მიზამდა—
რაიკომმა ვერ გამტეხა!

მანანა წერეთელი—პედაგოგი, პოეტი
გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციაში ვიმუშავე ერთხანს,
უფროს კოლეგებს ვუერთებდი ჩემს ხმას...
„მ. **წერე**-თლის ხელმოწერით ვაქვეყნებდი სტატიებს,
ლექსებს, მოთხრობებს...
როგორც მესმოდა—ვაკმაყოფილებდი მოთხოვნებს.
ახლა „მზეკაბანში“ ვარ, ვმსახურებ ბავშვთა სამყაროს,
ამ ლამაზ სამყოფელს ღმერთმა არ გამყაროს...

ავთო ჯიბლაძე—პედაგოგი, ნიჭიერი სპორტსმენების აღმომჩენ-აღმზრდელი
კეთილმოსურნე და დამთმობი,
არც არავისთან მოდავე—
მრავალი საქმის წამომწყები და მოთავე,
კაცი ნაღდი და მართალი,
ყოფილი ფეხბურთელი—გოლების გამტანი!

ავტორი ნუგზარ გამყრელიძე

რა ელოდება ახალ 2023 წელს ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანს...

ამა თუ იმ სტიქიის წარმომადგენლებს თავისი კონკრეტული სიმბოლოები აქვთ, რომელსაც მომავალ, 2023 წელს, წარმატებისა და ბედნიერების მოტანა შეუძლია.

უკვე კარგად ვიცით, რომ ჩინური კალენდრის მიხედვით, 2023 წელი შავი კურდღლის წელია. მთვარის ციკლის მეოთხე წელი აზიაში ყველაზე ბედნიერ და წარმატებულ წლად მიიჩნევა. სწორედ ამ წელს ველოდებით ახალ, 2023 წელს.

ეს ნიშანი სიმშვიდის სიმბოლოა, რაც იმას ნიშნავს, რომ უმჯობესია ახალ წელს ოჯახურ, მშვიდ და პოზიტიურ გარემოში შევხვდეთ.

ვერძი (21 მარტი -20 აპრილი)

ვერძებისთვის კარგი წელია გადაწყვეტილებების მისაღებად და თვითრეალიზაციისთვის. კარგი დროა იმ სახლის ასაშენებლად, რომელზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდით. შეგიძლიათ გაემგზავროთ ასევე დასასვენებლად მაგალითად მალდივის კუნძულებზე იყიდოთ ძვირფასი ნივთები.

კურო (21 აპრილი - 21 მაისი)

წარმატებული წელი იქნება ახალი ნაცნობობისა და კომუნიკაციებისთვის.

ტყუპები (22 მაისი - 21 ივნისი)

კარგი დროა ჯანმრთელობის მისახედად. შეგიძლიათ დაკავდეთ ფიტნესით ან შეხვიდეთ ცეკვის წრეზე. თუ სავარჯიშო დარბაზში სიარულის დრო არ გაქვთ, უბრალოდ ბევრი იარეთ ფეხით.

კირჩხიბი (22 ივნისი - 22 ივლისი)

ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს მოგზაურობის დრო დაუდგათ. არ აქვს მნიშვნელობა, ზღვაზე წახვალთ თუ ისტორიულ ქალაქებს მოინახულებთ, მთავარია, რომ იმოგზაურებთ. ასე რომ, ჩვენი რჩევა იქნება, შეიძინოთ დიდი სამგზავრო ჩემოდანი. გვერწმუნეთ, ის აუცილებლად დაგჭირდებათ.

ლომი (23 ივლისი - 23 აგვისტო)

ეს ის პერიოდია, როდესაც ლომმა აუცილებლად უნდა გაითავისოს ერთი მთავარი გაკვეთილი, დროა დრო და ენერგია საკუთარ თავს დაუთმოს, საკუთარ თავს მიხედოს. ასტროლოგები ლომებს ურჩევენ შეიძინონ დიდი სარკე, რომ ხშირად ჩაიხედონ და გაუღიმონ საკუთარ თავს.

ქალწული (24 აგვისტო - 22 სექტემბერი)

ეს წელი ძალიან კარგი პერიოდი იქნება ქალწულებისთვის დანაზოგის გასაკეთებლად. ასე რომ, დროა შეიძინოთ დიდი ყულაბა.

სასწორი (23 სექტემბერი - 23 ოქტომბერი

დროა შეხვიდეთ მანქანის ტარების გაკვეთილებზე, ან თუნდაც ინგლისურზე, ერთი სიტყვით, დროა დაკავდეთ თვითგანვითარებით. შეიძინეთ წიგნები და განავითარეთ საკუთარი თავი.

მორიელი (24 ოქტომბერი - 22 ნოემბერი)

მორიელებისთვის ეს ის პერიოდია, როდესაც ხორცი უნდა შეასხან ჩანაფიქრს. გირჩევთ გეგმები აღარ გადადოთ და მოიყვანოთ სისრულეში.

მშვილდოსანი (23 ნოემბერი - 23 დეკემბერი)

მშვილდოსნებისთვის ეს წელი ცოტა არასტაბილურია. სავარაუდოდ მათ ცხოვრებაში იქნება ბევრი ემოციური მომენტი, ამიტომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარი თავის კონტროლი.

თხის რქა (22 დეკემბერი - 20 იანვარი)

ეს ის პერიოდია, როდესაც შეგიძლიათ თამამად იაროთ თავაწეულმა და საკუთარ ძალებში დარწმუნებულმა. დიახ, წარმატება თქვენს მხარეს იქნება.

მერწყული (21 იანვარი - 18 თებერვალი)

მერწყულებისთვისაც ეს წელი ძალიან კარგი პერიოდი იქნება სამოგზაუროდ, ნუ გაუშვებთ ამ შანსს ხელიდან.

თევზები (19 თებერვალი - 20 მარტი)

შეიძლება ითქვას, რომ ეს წელი თევზებს ბევრ ახალ შანსს და საქმიან წინადადებას მოუტანს, თუმცა მან არ უნდა დაივიწყოს ახლობლები და ნათესავები, ახლო მეგობრები და მათ სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს.

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872